# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 27 სექტემბერი 2008 №223 (3447) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# კალაძის სია




## ფრთხილად, სტუმარს არ ეწყინოს




## ხელდახელ ჩადექი, საქართველოვ!

### 19-წლამდელ მორაგბეებს დღეს ასასვლელი ფინალი აქვთ



## უეფა ჩვენი მეგობარია

### ევროპამ საზღვრები გადასინჯა: საქართველომ თავისი ადგილი უნდა გაარკვიოს

უეფას აღმასრულებელმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა იდეას, რომლის თანახმადაც 2016 წლის ევროპის ჩემპიონატზე 24 ნაკრები ითამაშებს.

თუ გავიხსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ახლა 16 გუნდი გადის, რვა ნაკრების დამატება ფრიად მნიშვნელოვანი ამბავია პატარა საფეხბურთო ქვეყნებისთვის, რომლებისთვისაც 16 საუკეთესოს შორის მოხვედრა პრაქტიკულად წარმოუდგენელი რამ იყო.

რვა დამატებითი ადგილი ნიშნავს, რომ საქართველოს ნაკრებს რვა წლის შემდეგ გაცილებით მეტი შანსი ექნება ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშისა. თუ გავიხსენებთ, რომ საფეხბურთო ევროპა 51 ქვეყანას ითვლის (გვჯერა, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ფეხბურთის ფედერაციები უეფას სუბიექტები ვერასდროს გახდებიან), გამოდის, რომ პრაქტიკულად ყოველი მეორე ქვეყანა შეძლებს ევროპის ჩემპიონატზე თამაშს. იმის იმედი კი ვინძლო უნდა გვქონდეს, რომ ყოველ მეორეში მოხვედრას როგორმე შევძლებთ.

ცვლილებების სიომ ევროპის საკლუბო ფეხბურთშიც დაჰბერა. აქამდეც გვეწერა, რომ უეფა თავისივე სახელობის თასის გათამაშების ფორმატის შეცვლას აპირებდა, რაკილა ჩემპიონთა ლიგამ უეფას თასს პრესტიჟი მეტისმეტად მოაკლო. უკვე მომდევნო სეზონიდან უეფას თასის გათამაშება, რომელსაც „უეფას ევროპალიგა" ერქმევა, ახალი ფორმატით ჩატარდება. ძირითადი ცვლილება კი ის იქნება, რომ 5-გუნდა და ერთწრიანი ჯგუფური ეტაპის ნაცვლად უფრო გონივრული, 4-გუნდა და ორწრიანი ეტაპი გაიმართება.

და ისევ ევროპის ჩემპიონატს მივუბრუნდეთ. ახალი ფორმატით, ფინალურ ეტაპზე გასული 24 გუნდი ექვს 4-გუნდა ჯგუფში განაწილდება, საიდანაც მერვედფინალში პირველმეორე ადგილებზე გასულები და ოთხი საუკეთესო მესამეადგილოსანი გავა. მერე კი, როგორც აქამდე იყო.

# კალაძის სია: ვოლფსბურგი, ევერტონი და... სპარტაკი!



**კახა კალაძით** სამი კლუბი სერიოზულადაა დაინტერესებული: გერმანულმა „ვოლფსბურგმა“, ინგლისურმა „ევერტონმა“ და მოსკოვის „სპარტაკმა“ უკვე გამოთქვეს საქართველოს ნაკრების კაპიტნის შეძენის სურვილი.

მართალია, კალაძე „მილანიდან“ წასვლას არ გეგმავს და ეს ბევრჯერაც უთქვამს, თუმც ვინ იცის, საქმე სხვაგვარად შეტრიალდეს.

ერთი კია, ამ სიაში „სპარტაკის“ ხსენება ღიმილს გვგვრის — რა სასწაული უნდა მოხდეს, კახა რუსეთის კლუბში რომ გადავიდეს?

ყველაზე მეტად ჩვენიანის შეძენა „ვოლფსბურგს“ უნდა, რომელიც წლეულს იტალიურ ბაზარს მიადგა და „სკუადრას“ ორი მცველი გადაიბირა — ანდრეა ბარძალი და კრისტიან ძაკარდო.

თანაც, „მგლები“ ფინანსურად საკმაოდ ძლიერები არიან და არ არის გამორიცხული, სერიოზულად ჩაეჭიდონ კალაძის ხელში ჩაგდების შანსს...

**ილია ნანობაშვილი**

### ინგლისი

I დივიზიონი

საუთენდი 3:0 ლეიტონი

ტრანმერი 3:4 კოლჩესტერი

### გერმანია

I ბუნდესლიგა

კიოლნი 1:0 შალკე

II ბუნდესლიგა

ჰანზა 3:0 ზანქტ პაული

ობერჰაუზენი 0:4 ფიურტი

ოსნაბრიუკი 1:0 კობლენცი

III ბუნდესლიგა

ზანდჰაუზენი 3:0 რეგენსბურგი

ვერდერი (მ) 4:5 შტუტგარტი (მ)

### საფრანგეთი

II დივიზიონი

ბასტია 2:2 რეიმსი

ბრესტი 0:1 ბულონი

ნიმი 2:2 აიაჩო

სედანი 0:1 ამიენი

### ხორვატია

I დივიზიონი

სლავენი 2:0 დინამო

### დანია

თასი

ბრონშოი 2:3დ.დ. (2:2) ოლბორგი

ვიბორგი 1:2 ჰორსენსი

### უკრაინა

ვიშა ლიგა

დინამო 3:0 კრივბასი

### ირლანდია

პრემიერდივიზიონი

ბრეი 0:1 ფინ ჰარპსი

კორკი 2:0 დუბლინი

დროჰედა 1:1 გალვეი

შემროკი 1:2 ბოჰემიანსი

ასოციაციის თასი

სტ პატრიკსი 2:0 ფინგალი

### უელსი

პრემიერდივიზიონი

პრესტატინი 5:0 კერნარფონი

### უნგრეთი

ბორსოდი ლიგა

კეშკემეტი 3:0 დებრეცენი

### ჰოლანდია

იუპილერლიგა

აპელდორნი 2:0 ჰაარლემი

დენ ბოსხი 2:2 ვეენდამი

დორდრეხტი 4:0 ზვოლე

ომნივოლდი 1:1 ვალვაიკი

სიტარდი 0:0 როზენდალი

იგლსი 2:0 კამბური

### რუმინეთი

პირველი ლიგა

გლორია 1:2 დინამო

პოლიტეხნიკა 0:2 ტიმიშოარა

კლუჟი 1:1 სტიაუა

### ჩეხეთი

მეორე ლიგა

მოსტი 3:1 სლოვაცკო

ვიტკოვიცე 3:1 ფულნეკი

### პორტუგალია

სუპერლიგა

პორტუ 2:0 ფერეირა

### ბელგია

იუპილერლიგა

სტანდარდი 2:1 ანდერლეხტი

### ავსტრია

ერსტე ლიგა

ავსტრია (მ) 1:2 ავსტრია (ლ)

ლუშტენაუ 0:0 ტიროლი

გრატკორნი 1:1 ლეობენი

სტ პოლტენი 0:0 გრიოდიგი

ნოიშტადტი 2:0 ზალცბურგი (მ)

### ბულგარეთი

ვიშა ლიგა

ჩერნო მორე 1:0 ლოკომოტივი

### შვეიცარია

სუპერლიგა

ბელინცონა 1:1 გრასჰოპერი

### პოლონეთი

პირველი ლიგა

პოლონია (ბ) 2:0 გურნიკი

გდანსკი 0:0 პოლონია (ვ)

### თურქეთი

სუპერლიგა

სივასი 2:1 ფენერბაჰჩე

კახა მჟავანაძე ალენ ჟირესის დროს საქართველოს ეროვნული ნაკრების შეუცვლელ წევრად ითვლებოდა. მას შემდეგ წლები გავიდა, მჟავანაძე ოდესის „ჩერნომორეცმა“ დაბალლიგელ „დნესტრში“ გაანათხოვრა, თუმცა წლეულს დაიბრუნა და ქართველმა მცველმაც ძირითად შემადგენლობაში იოლად მოიკიდა ფეხი. მჟავანაძის უკრაინელი ჟურნალისტებიც დაინტერესდნენ და ჩვენც **ua-football**-ის მიერ ჩამორთმეულ ინტერვიუს გთავაზობთ...



# ოდესა ჩემი ქალაქია

## კახა მჟავანაძე: თავი არასოდეს დამიზოგავს

— შეიძლება ითქვას, „ჩერნომორეცში“ თქვენი მეორედ მოსვლა შედგა. როგორ გრძნობთ თავს ძველ-ახალ გუნდში?

— რა თქმა უნდა, ძნელია, როცა წელიწადნახევარი არ გითამაშია ასეთ მაღალ დონეზე. არ ვამბობ, რომ „დნესტრი“ ცუდი გუნდია, მით უმეტეს, ახლა ის პირველ ლიგაში მეხუთე ადგილზეა. სიმართლე გითხრათ, ძალიან მინდოდა უკან დაბრუნება და მადლობელი ვარ „ჩერნომორეცის“ მწვრთნელების და ხელმძღვანელების, რომ კვლავ ირწმუნეს ჩემი შესაძლებლობები. განსაკუთრებით ვემადლიერები კლუბის ვიცე-პრეზიდენტ ოლეგ მარუსს, რომელმაც ჩემ დაბრუნებაში დიდი როლი შეასრულა. რაც ჩემზეა დამოკიდებული, მინდორზე პატიოსნად გავაკეთებ. კიევის „დინამოსთან“ თამაში მეც ჩამივარდა, მაგრამ არა უშავს, გამოვასწორებთ. მეუღლე ოდესელი მყავს და ძალიან მინდა, „ჩერნომორეცში“ დავრჩე, ვგრძნობ, რომ ეს ჩემი ქალაქია. ადრეც მითქვამს, ოდესა ძალიან ჰგავს ბათუმს და ქობულეთს — ადგილებს, სადაც მე გავიზარდე. ასე რომ, შევეცდები, გუნდში ფეხი მოვიკიდო.

— „დნესტრთან“ ერთად პირველ ლიგაში თამაშმა რაიმე სასარგებლო მოგცათ?

— რა თქმა უნდა. იქ სკამზე ჯდომა, პრაქტიკულად, არც მიწევდა — ყველა მატჩში ვთამაშობდი. მით უმეტეს, გუნდის მთავარი მწვრთნელი ჩემ მიმართ ძალიან კარგად იყო განწყობილი, თამაშის დაწყებამდე რჩევებსაც კი მეკითხებოდა. თანაც, ისეთი ფეხბურთელი ვარ, რომელიც მოედანზე ყოველთვის ბოლომდე იხარჯება. ჩემთვის სულერთია, „ჩერნომორეცში“ ვარ თუ „დნესტრში“ — ვიბრძვი ბოლომდე, ეს სისხლში მაქვს.

— ამ სეზონში „ჩერნომორეცი“ არასტაბილურად თამაშობს, „ტავრიასთან“ სტუმრად მოგების შემდეგ „ობოლონთან“ თასზე წააგეთ. რით აიხსნება ასეთი ჩავარდნები?

— გადაჭრით რამის თქმა ძნელია. ალბათ, რაღაცას ისე ვერ ვაკეთებთ. გუნდი კი ისწრაფვის სტაბილურობისკენ, მაგრამ მიჭირს წარუმატებლობის ახსნა. იმის თქმა, რომ კარგი ფეხბურთელები გვაკლია ან მწვრთნელია ცუდი, არ იქნება მართალი. ბევრი რამ იღბალზეცაა დამოკიდებული და ხასიათზეც. სიმფეროპოლში თამაშის წინ, ჩვენგან არავინ ელოდა მოგებას, მაგრამ გუნდი შესაბამისად განეწყო და კარგი შედეგიც მივიღეთ. ასე უნდა გავიდეთ ყველა თამაშზე და წარმატებაც მოვა. ჩემი აზრით, ყველაფერი დროის ამბავია — თუკი საერთო საქმისთვის ბოლომდე დავიხარჯებით, ყველაფერი გამოვა. კლუბის ხელმძღვანელობაზე მხოლოდ კარგის თქმა შემიძლია — ხელფასი ერთი დღით არ იგვიანებს. მახსოვს, როცა რუსეთში, მახაჩყალის „ანჟიში“ ვთამაშობდი, პრემიების გადახდას 6 თვე აგვიანდებოდა.

— „ლვოვს“, რომელიც მომავალ ტურში თქვენი მეტოქეა, პირველი ლიგიდან კარგად უნდა იცნობდეთ. რისი თქმა შეგიძლიათ ამ გუნდზე?

— გასულ სეზონში ლვოვში დისკვალიფიკაციის გამო არ მითამაშია, შინ კი 1:0 მოვუგეთ. შეკრული გუნდი ჰყავთ და მხოლოდ ოსტატობის ხარჯზე ვერ დაამარცხებ. უნდა ვიბრძოლოთ, სხვანაირად სამი ქულის აღება გაგვიჭირდება.

— „ლვოვმა“ დონეცკის „შახტარს“ მოუგო, ხარკოვის „მეტალისტს“ კი ფრე ეთამაშა. ჩანს, ლვოველებს სახელიან გუნდებთან განწყობა ეხერხებათ...

— ვფიქრობ, „ჩერნომორეცთან“ მატჩისთვისაც განსაკუთრებით განეწყობიან. როგორც შევიტყვე, ჩვენთან თამაშის ვერმოგების შემთხვევაში, ამ გუნდის მწვრთნელს სერიოზული პრობლემა შეექმნება. ასე რომ, უმძიმესი შეხვედრა გველის.

# ამდენი ქართველის კინკილა ქულა

**მახაჩყალის** „ანჟი“ რუსეთის პირველი დივიზიონის 35-ე ტურში სტუმრად სვერდლოვსკის „ურალს“ უგოლოდ დაშორდა.

დაღესტნელთა ქართველი ლეგიონერებიდან ვალერი აბრამიძემ და რევაზ ჯიქიამ სრულად ითამაშეს, გოჩა ხოჯავა 66-ე წუთზე მიხეილ აშვეთიამ შეცვალა, ზურაბ არზიანი კი 86-ე წუთზე გამოცვალეს.

არ უთამაშიათ რევაზ ბარაბაძეს და გიორგი ნავალოვსკის.

ამავე ტურში ბრიანსკის „დინამომ“ შინ 0:2 წააგო კრასნოდარის „კუბანთან“. მასპინძელთა შორის სრულად გაისარჯა ქართველი ნახევარმცველი პაატა ჯინჭარაძე.

**კახა შალამბერიძე**

# კვარაცხელია — 90, დეკანოსიძე — 0

**ბელარუსის** ჩემპიონატის 24-ე ტურში გივი კვარაცხელიას „მტზ-რიპო“ „სმორგონს“ ესტუმრა და 1:1 ეთამაშა.

მოლოდინისამებრ, კვარაცხელია მინსკელთა სასტარტო შემადგენლობაში იყო და სრულად გაისარჯა.

სადღეისოდ, „მტზ-რიპოს“ 50 ქულა აქვს და გათამაშების ლიდერ ბატე-ს 3 ქულით ჩამორჩება.

თავის მხრივ, ბატე-მ სტუმრად 2:0 მოუგო „გომელს“, თუმცა ბორისოველთა ქართველ ახალწვეულს, 21 წლის ნახევარმცველ ლაშა დეკანოსიძეს არც ამჯერად უთამაშია.

**კახა შალამბერიძე**

# მეორე ლიგა

პირველი ტური

ერთობა (ახმეტა) 1:1 იმედი (რუსთავი)

დუშეთი 2:0 ლოკომოტივი 2 (თბილისი)

ალაზანი (გურჯაანი) 0:6 სპარტაკი 2 (ცხინვალი)

ალგეთი (მარნეული) 1:1 ლიახვი (თამარაშენი)

სამგორი (გარდაბანი) 0:5 ამერი 2 (თბილისი)

ჰერეთი 2 (ლაგოდეხი) 3:0 35-ე სკოლა (თბილისი)

ბორჯომი 2 2:0 ნორჩი დინამო 2 (თბილისი)

გარეჯი (საგარეჯო) 0:1 არაგველები (თბილისი)

ზოოვეტი (თბილისი) 0:3 IBSU (თბილისი)

ფეხბურთის კლუბი „ამერი“ ულოცავს გუნდის მეკარე ლადო ნადირაშვილს შვილის, ხოლო ყოფილ ფეხბურთელ ვახტანგ ხვადაგიანს შვილიშვილის შეძენას!

# შეფასებები დაინიშნა

საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ზედიზედ ორ საშინაო მატჩს 11 და 15 ოქტომბერს გამართავს.

ჰექტორ რაულ კუპერის შეგირდები თბილისში ჯერ კიპროსს უმასპინძლებენ, მერე კი — ბულგარეთს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, კიპროსთან მატჩს ჩეხი მსაჯები მოემსახურებიან — არბიტრი რადეკ მატეიეკი იქნება, რომელსაც პატრიკ ფილიპეკი და ივო შუტილი დაეხმარებიან. მეოთხე მსაჯი კი ლიბორ კოვარიკია.

მსაჯთა დამკვირვებელი ფრანგი მიშელ ვოტრო იქნება, მატჩის დელეგატი კი — სლოვაკი დუშან ტიტელი.

რაც შეეხება ბულგარეთთან შეხვედრას: არბიტრი ბიორნ კუიპერსია; ასისტენტები — ადრიან ინია და სანდერ ვან როეკელი; მეოთხე მსაჯი კი — ჰენდრიკუს სებასტიან ნიიჰიუსი. ოთხივე ჰოლანდიიდან.

მსაჯთა დამკვირვებლად ჩეხი ვაცლავ კრონდლი ჩამოვა, ხოლო მატჩის დელეგატად — ესპანელი მიგელ გალან ტორესი.

**ბახა შალამბერიძე**

# კრასნოჟანი გოგუაზე: ურჩია, მაგრამ ძლიერია

ნალჩიკის „სპარტაკის" მწვრთნელ იური კრასნოჟანს რუსულმა „სპორტსდეილიმ" ინტერვიუ ჩამოართვა, სადაც საუბარი გოგიტა გოგუასაც ეხება.

კერძოდ, კრასნოჟანს ეკითხებიან, თქვენ მწვრთნელის კვალობაზე რბილი ხასიათი კი გაქვთ, მაგრამ, ალბათ, ზოგიერთ მოთამაშესთან იდეალური დამოკიდებულება ვერ გექნებათ და ვინ არიან ისინიო. ნალჩიკელთა თავკაცმა კი გოგიტა გოგუაზე თქვა — ბოლოს მას „მოხვდაო".

„მე მყავდა გუნდში დმიტრი მოსტოვოი. ფეხბურთელი, რომლის სიტყვა ბევრს ნიშნავდა. მაგალითად, მოსტოვოის შეეძლო ეთქვა გოგუასთვის, ასე მოქცევა არ შეიძლებაო".

თუმცა კრასნოჟანი გოგიტას მხოლოდ ურჩი ფეხბურთელის კონტექსტში არ ახსენებს — ის ძალიან კარგი ფეხბურთელია, გუნდისთვის მეტად სასარგებლოაო.

**ილია ნანობაშვილი**



## საქართველოს 20 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
I წრე. 3 ტური



მალხაზ ახვლედიანის ფოტო

# მესხეთმა ზესტაფონში ცივი შხაპი ჩაიტანა

**ბექან ჩხეიძე ზესტაფონიდან**

მოუთმენლად ელოდა ზესტაფონი თავისი გუნდის ნახვას ახალ ჩემპიონატში, განწყობაც ოპტიმისტური ჰქონდათ გულშემატკივრებს — საწყის ორ ტურში ხომ იმერულმა კლუბმა ოთხ ქულას მოუყარა თავი, თანაც ახალციხელები ოდენ ერთი ქულით ესტუმრნენ ზესტაფონს.

მატჩის დაწყებამდე გუნდის კაპიტნებმა, გიორგი სომხიშვილმა და როინ ონიანმა ეროვნული დროშა აღმართეს და ჩემპიონატი ზესტაფონშიც გაიხსნა.

თამაში ნელ ტემპში დაიწყო და ყველას გასაკვირად, პირველი სახიფათო შეტევა მე-7 წუთზე სტუმრებმა განახორციელეს — შოთა გრიგალაშვილმა გამჭოლი პასი გააკეთა წინ, მაგრამ თავდამსხმელმა ჩანაფიქრი ვერ გაიგო და...

მე-15 წუთზე ერიკ რომეო ჩასემი კარგად გაიჭრა მარჯვენა ფრთაზე, გზად რამდენიმე მცველი მოატყუა და ბოლოს მესხებმა მაინც განმუხტეს ხიფათი.

წუთში იმავ ჩასემმა კარგი პასით ნიკა გელაშვილი გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე და სომხიშვილმა დასწრებაზე ითამაშა.

მე-19 წუთზე კი სენსაციური გოლიც ვნახეთ: სტუმრებმა კარგად გაითამაშეს ბურთი, მიხეილ თაყაძემ დასარტყმელად დაუგორა დიმიტრი ლეკიშვილს, მისი დარტყმული უჩა ლობჟანიძეს ფეხზე მოხვდა და 0:1.

„ზესტაფონმა" მალევე შეუტია და ორჯერ ბექა გოცირიძეს შეეძლო გატანა, მაგრამ ორივეჯერ ააცილა კარს.

34-ე წუთზე ლობჟანიძე შეცდა საჯარიმოსთან, რითაც ისარგებლა ვლადიმერ გოჩაშვილმა, გავიდა დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ...

მეორე ტაიმი „ზესტაფონმა" მხნედ დაიწყო. როინ ონიანის აუტიდან ჩაწოდებულ ბურთს კარგად დაეუფლა ნიკა გელაშვილი, თუმც საჯარიმოში შესულს მცველები სარმით „გაუმასპინძლდნენ". მსაჯმა უყოყმანოდ მიუთითა პენალტის ნიშნულს — ონიანმა ეს შანსი ვერ გამოიყენა, ბურთი ზემოდან გადასცდა კარს.

მასპინძელთა ყველანაირ მცდელობას ახალციხელები კარგად უმკლავდებოდნენ.

ერთი-მეორის მიყოლებით გაანიავეს საგოლო მომენტები ჩასემმა და გელაშვილმა. 62-ე წუთზე კი პატარა ინციდენტი მოხდა — ჟილვან ვიეირას წინააღმდეგ გრიგალაშვილმა იუხეშა. მსაჯმაც ის გააფრთხილა, რასაც ტრიბუნიდან მაყურებელთა შეძახილები მოჰყვა, გრიგალაშვილმა მაყურებელს შეურაცხყოფა მიაყენა და გიორგი ვადაჭკორიამაც უმალ გააძევა მოედნიდან.

„მესხეთის" კაცნაკლულობამაც ვერ უშველა „ზესტაფონს". მასპინძლებმა გამუდმებულ შეტევებში გაატარეს დარჩენილი დრო, გოლის გატანის კარგი შანსებიც ჰქონდათ ნიკა კვასხვაძეს და ნიკა გელაშვილს, მაგრამ ხან ისინი სცოდავდნენ, ხანაც სომხიშვილი თამაშობდა საიმედოდ.

82-ე და 90-ე წუთებზე ქულის გადარჩენის ბოლო შანსი გაანიავა იმავ გელაშვილმა...

0:1 და ახალციხელთა სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, ზესტაფონელი გულშემატკივრები კი გაწბილებულები ტოვებდნენ სტადიონს.



მალხაზ ახვლედიანის ფოტო

გიორგი სომხიშვილი მაგრად იდგა

ზესტაფონი. 26 სექტემბერი. 16 საათი. ცენტრალური. 3 500 მაყურებელი

## ზესტაფონი 0:1 მესხეთი

0:1 ლეკიშვილი (19)

*ონიანმა ვერ გაიტანა პენალტი (48, ააცილა)*

| | |
|---|---|
| **ზესტაფონი:** რ. კვასხვაძე, ს. თოდუა, უ. ლობჟანიძე, ფრიდოლინი, ძარია (ბენაშვილი 69), რ. ონიანი, გ. ჭელიძე (იონანიძე 60), ვიეირა, გელაშვილი, ჩასემი, ბ. გოცირიძე (ნ. კვასხვაძე 57) *სათადარიგონი:* ჭანტურია, შ. ლონლაძე, ლომაშვილი, გ. ხიდეშელი **მწვრთნელი:** თემურ მახარაძე | **მესხეთი:** სომხიშვილი, რაქვიაშვილი, გ. კვასხვაძე, მემარნიშვილი, ლეკიშვილი, შ. გრიგალაშვილი, გოჩაშვილი, თაყაძე (სუდაძე 90), ვ. გონჩაროვი (სამადაშვილი 84), ლ. თედიაშვილი, ინასარიძე (ქოჩორაშვილი 67) *სათადარიგონი:* ძამუნაშვილი, კობესაშვილი, მურმანიშვილი **მწვრთნელი:** კობა თედიაშვილი |

**გაფრთხილება:** მემარნიშვილი (32), გოჩაშვილი (41), გრიგალაშვილი (62), სომხიშვილი (72)

**გაძევება:** გრიგალაშვილი (62)

**მსაჯები:** გ. ვადაჭკორია, ლ. თოდრია, ზ. ფიფია, პ. დოგრაშვილი

**დამკვირვებელი:** ტ. ნიშნიანიძე; **დელეგატი:** თ. კოსტავა

## პრესკონფერენცია

*კობა თედიაშვილი:* ვიცოდით, რომ ურთულესი მატჩი გველოდა. ფეხბურთელებს დაცვიდან თამაში და შესაძლებლისდაგვარად კონტრშეტევის განხორციელება მოვთხოვე. ბიჭების კმაყოფილი ვარ. ძალიან მიხარია, რომ სამი ქულა მოვიპოვეთ.

*თემურ მახარაძე:* ვულოცავ სტუმრებს გამარჯვებას, ეს მათ დაიმსახურეს. ჩემი ფეხბურთელები გადაღლილები ჩანდნენ. ამას მეორე ტაიმის დასაწყისში გამოუყენებელი პენალტიც დაერთო და...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| გაგრა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ზესტაფონი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| სიონი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| მესხეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| დინამო | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| ლოკომოტივი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| მგლები | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| ოლიმპი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ბორჯომი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| სპარტაკი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |

# საქართველოს 20 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა | I წრე. 3 ტური


ნიკა მგელაძის (№23) გოლი „მგლების“ კარში

გადრი კიკილაშვილის ფოტო

თბილისი. 26 სექტემბერი. 16 საათი. ამერი. 700 მაყურებელი

## გაგრა 2:0 მგლები

1:0 დათუნაშვილი (70), 2:0 მგელაძე (83)

| | |
|---|---|
| გაგრა: თევდორაძე, ქაჯაია, დ. გიგაური, ნ. მგელაძე, გაბუნია, ჩარგეიშვილი, ტყემელაშვილი, გაბედავა (ხოკერაშვილი 87), ფილია (ზ. დათუნაშვილი 69), შარიქაძე (ლ. სეთურიძე 85), ზ. მეტრეველი<br>*სათადარიგონი:* კოტრიკაძე, კვანტალიანი, ლალიანი, თ. მეტრეველი<br>მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე | მგლები: მამალაძე, ა. ბაჯელაძე, აქუბარდია, ხუხია, რეხვიაშვილი, გუჩუა, გულორდავა, ლომია (ქუცურუა 76), დარსანია (ჯოჯუა 31), გ. თოდუა, გ. მიქაბერიძე (ხურციძე 77)<br>*სათადარიგონი:* ქალდანი; ჭოხონელიძე, ი. ცხადაია, ჭითანავა<br>მწვრთნელი: ბესიკ შეროზია |

გაფრთხილება: ხუხია (8), გაბედავა (47), გაბუნია (52), ბაჯელიძე (60), ჩარგეიშვილი (90)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, მ. ელიკაშვილი, ზ. ჯვარიძე, ი. ურუშაძე

# გაგრამ მესამე ტურშიც პირველი ტური ითამაშა

**ილია ნანობაშვილი**

**ერთი** შეხედვით, მარტივი თამაში, მეტოქეზე მეტი სირბილი, ბრძოლა და კონცენტრაცია — ამით მოიგო „გაგრამ“ პირველ ტურში „დინამოსთან“ და ამით აჯობა გუშინ ზუგდიდის „მგლებსაც“.

რაც ჩამოვთვალეთ, ფეხბურთისთვის საჭირო ელემენტებია, რასაც საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაშიც კი ყველა ვერ აკეთებს.

მიუხედავად იმისა, რომ პირველ ტაიმში კანტი-კუნტად შეიქმნა საგოლე მომენტები, თამაშს მოსაწყენი არ ეთქმოდა. პირველ რიგში, ტემპი იყო მაღალი და ორივე გუნდი გააფთრებული იბრძოდა, რაც შეეძლოთ, თავს არ ზოგავდნენ.

სადღაც მე-20 წუთიდან „მგლებს“ გაუჭირდა, რაკილა მასპინძლები უფრო თამამად ათამაშდნენ, კარგად იყენებდნენ ფლანგებს, განსაკუთრებით კი მარჯვნიდან ერეკლე ფილიამ გაილაღა.

ზუგდიდელთა მეკარე ზურაბ მამალაძემ ზვიად მეტრეველს აუღო, შემდეგ კი ჯერ ფილიამ ააცილა, მერე მისი პასით თამაზ ჩარგეიშვილმა ვერ დაუმიზნა ჩარჩოს.

უნდა აღვნიშნოთ გიორგი გაბედავა, რომელიც ექტორ რაულ კუპერმა ეროვნული ნაკრების კანდიდატთა შორის ავარჯიშა. ეს ბიჭი რაღაცით სანდრო იაშვილს წააგავს — თამაშის მანერითაც და ჟინითაც.

ზუგდიდელთა მწვრთნელმა ბესიკ შეროზიამ იგრძნო, რომ უპირატესობა მეტოქისა იყო, ამიტომ, მოედნის ცენტრს ფუტკარივით მშრომელი ვლადიმერ ჯოჯუა დაახმარა. ჯოჯუამ და ასაკოვანმა ვალტერ გუჩუამ თავიდან კარგად გაართვეს თავი სამუშაოს, მაგრამ მაინც ვერ სჯობდნენ გაგრელთა ნახევარმცველებს.

ისე კი, პირველ ტაიმში ყველაზე რეალური შანსი „მგლებისა“ იყო, როცა ტექნიკურმა გიორგი მიქაბერიძემ ლამაზი პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა გია თოდუა — მისი დარტყმული ბურთი გარედან მოხვდა ბადეს.

ზედ შესვენების წინ კი გაბედავამ შორიდან გაისროლა, მამალაძემ მოიგერია და მეტრეველმა დამატებაზე ვერ ივარგა.

მეორე ნახევარში ტემპი განელდა, სამაგიეროდ, უხეშობის ზღვარზე თამაშმა იმატა. კარგა ხანს არც რევაზ თევდორაძე შეწუხებულა და არც მამალაძე, მაგრამ შეცვლაზე შემოვიდა ზამორა დათუნაშვილი და... ბურთთან პირველივე შეხებისას გოლი გაიტანა.

70-ე წუთი იყო, ლევან შარიქაძემ საჯარიმო ჩააწოდა, მეტრეველის თავით დარტყმული მამალაძემ მოიგერია და დათუნაშვილმა ცარიელ კარში შეაგდო.

შეცვლა გამოვიცანიო, ხაჩიძემ უნდა თქვას. ისე, ზამორა „გაგრას“ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად ითვლება, გუშინ კი რატომღაც სამარქაფო იყო და სულ 20 წუთი ითამაშა, მაგრამ რა ითამაშა... გოლს რომ თავი დავანებოთ, მშვენიერი დრიბლინგით და პასებით გამოირჩა, ერთხელ კი შორიდან მეკარეს მოხდენილად უგდებდა ბურთს თავზე და მამალაძემ თითები წაატანა...

„მგლებმა“ თითქოს გაიბრძოლა, მაგრამ 90-ე წუთზე ყველაფერი მორჩა: შარიქაძის ნაკუთხურალი ბურთი „გაგრას“ კაპიტანმა ნიკა მგელაძემ თავურით შორეულ კუთხეში ჩააჭედა...

# ბორჯომში გამოცვლილი ბოლნისი ჩავიდა...

## ექტორ რაულ კუპერმა ლოჟას ტრიბუნა არჩია

ბორჯომი. 26 სექტემბერი. 16 საათი. ჯ. ზეინკლიშვილი. 400 მაყურებელი

## ბორჯომი 0:0 სიონი

| | |
|---|---|
| ბორჯომი: შეყრილაძე, ვაჩიბერაძე, ზ. ლაცაბიძე, ქარქუზაშვილი, ვ. ხორგუაშვილი, ნ. ნოზაძე, ლ. ვაშაკიძე, გ. ქავთარაძე (პ. ხორგუაშვილი 70), ბეჟანიძე (კ. ავალიანი 59), ალავერდაშვილი (ბაქრაძე 81), კიკნაძე<br>*სათადარიგონი:* კ. ჯინჭარაძე, ი. ლომიძე, ნ. ლომიძე, ხულორდავა<br>მწვრთნელი: გიორგი სუხიაშვილი | სიონი: ბობღიაშვილი, კობაური, სვანიძე, ქემოკლიძე, კაკაშვილი, კოშკაძე, დიდავა, შ. ჯიქია (რ. გოცირიძე 79), ხუბუა (ა. ალავიძე 79), ს. იაშვილი, დავითაშვილი (ქურასბედიანი 54)<br>*სათადარიგონი:* ქვაჩახია, ზ. ჭელიძე, ლ. ბაჯელიძე, გ. ჩივაძე<br>მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე |

გაფრთხილება: ნოზაძე (14), ქარქუზაშვილი (62), კობაური (63), კაკაშვილი (90)

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი, ზ. მენთეშაშვილი, ლ. მიქელაძე, თ. გვანცელაძე

დამკვირვებელი: მ. ჭელიძე, დელეგატი: თ. კუპატაძე

**ნუკრი ლოლაძე ბორჯომიდან**

**ამ** შეხვედრაში უპირობო ფავორიტად ბოლნისის „სიონი“ ითვლებოდა. წინა ტურში ოთარ კორღალიძის შეგირდებმა „ზესტაფონთან“ საკმაოდ კარგი ფეხბურთი აჩვენეს და იმ თამაშის ფონზე გუშინდელი თამაშის ხარისხი ძალიან განსხვავებული იყო, თითქოს სხვა გუნდი თამაშობდა.

ბორჯომულ შეხვედრას თვალი ადევნა საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ექტორ რაულ კუპერმა. არგენტინელმა სტუმრების ლოჟა იუარა და ჩვეულებრივი ქომაგივით ტრიბუნიდან უყურა მატჩს.

სხვათა შორის, ბორჯომში შეკრებაზე მყოფმა საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმაც ნახა მატჩი.

პირველ ტაიმში მაყურებელი რომ უკმაყოფილო დარჩებოდა, ლაპარაკი არ უნდა — განსაკუთრებით უნიათოდ სტუმრები თამაშობდნენ. ვერ გეტყვით, ხელოვნური საფარის ბრალი იყო თუ არა, მაგრამ შეცდომები მრავლად ჰქონდათ. მასპინძლებს კი, რაც შეეძლოთ, იბრძოდნენ. უნდა გამოვარჩიოთ ექსსიონელი ლაშა ვაშაკიძე, რომელმაც დიდი სამუშაო გასწია.

პირველ 45 წუთში სულ ორი სახიფათო მომენტი იყო — მე-10 წუთზე ვაშაკიძის ნაკუთხურალს გიორგი ალავერდაშვილმა შეაგება თავი, მაგრამ სიზუსტემ უმტყუნა. 36-ე წუთზე კი სანდრო იაშვილის პასით ხელსაყრელ პოზიციაზე გავიდა ალექსანდრე კოშკაძე, მაგრამ ბექა შეყრილაძე ჩაუხტა ფეხებში და მდგომარეობა განმუხტა.

იაშვილმა ბევრი კი იბრძოლა, მაგრამ აშკარად ეტყობა, რომ ოპტიმალურ ფორმამდე ბევრი უკლია.

მეორე ნახევარი ოდნავ უკეთესად დაიწყო „სიონმა“.

კოშკაძემ უპასა იაშვილს, სანდრომ კოხტად მოიცილა მცველი და კარში დაარტყა, თუმც ძალა დააკლდა.

ოთარ კორღალიძემ სულიკო დავითაშვილის ნაცვლად მურმან ქურასბედიანი ჩართო თამაშში და ამ ბიჭმა ცოტა გამოაცოცხლა სტუმრების შეტევები.

მე-60 წუთზე ქურასბედიანის ჩაწოდებულ კუთხურს მასპინძლების საჯარიმოში არეულობა მოჰყვა — ლადო კაკაშვილმა დაარტყა კარისკენ, მაგრამ მცველებმა დაუფარეს. შეტევა გაგრძელდა და საბოლოოდ ვაშაკიძემ საჯარიმოდან გამოიტანა ბურთი.

„სიონს“ შეტევაში არარაფერი გამოსდიოდა, ვერც არჩილ ალავიძის და რევაზ გოცირიძის გამოსვლამ გაამართლა. „ბორჯომი“ კი შეტევისკენ იწევდა და მოგებაც შეეძლო.

შეცვლაზე შესულ კონსტანტინე ავალიანს 89-ე წუთზე ზედიზედ ორჯერ მიეცა კარში დარტყმის საშუალება, მაგრამ ხეირიანად ვერც ერთხელ ვერ მოახერხა დარტყმა.

ნამატჩევს ქვემო ქართლის გუბერნატორი დავით კირკიტაძე „სიონის“ თამაშით უკმაყოფილობას ვერ მალავდა...

### პრესკონფერენცია

*ოთარ კორღალიძე:* ორივე გუნდს შეეძლო გოლის გატანა, ჩვენს კართან მცველების შეცდომებს მოჰყვა სახიფათო მომენტები. ბავშვურ შეცდომებს უშვებდნენ. მე მაინც ხელოვნურ საფარს ვაბრალებ ამ შეცდომებს. ჩემი გუნდი ასეთ მოედანზე თამაშს არ არის შეჩვეული. ისე, „ბორჯომს“ უფრო ეტყობოდა მოგების ჟინი.

*გიორგი სუხიაშვილი:* შეიძლებოდა მოგებაც და წაგებაც. ვფიქრობ, კარგი თამაში გამოვიდა და მინდა, ჩემს ფეხბურთელებს მადლობა ვუთხრა.

თბილისი. 27 სექტემბერი. 16 საათი. მ. მესხი

## ლოკომოტივი — დინამო

მსაჯები: ო. ხეცაძე, ბ. ჭიჭინაძე, შ. ქუხილავა, ხ. გაგნიძე

გორი. 27 სექტემბერი. 16 საათი. ქართლი

## სპარტაკი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ა კრიჭაშვილი, გ. ჩიგოგიძე, ო. მოლოდინაშვილი, დ. ხარიტონაშვილი

ტოტალიზატორი

# 1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

| კოდი | წყვილი | შედეგი | კოეფ-ტი | სისტ |
|---|---|---|---|---|

— „პაპენდრეხტის“ მამენდრეხტობა ნახე?

— ცოტა უფრო გაიასნებული ტექსტებით ბაზარი არ შეგიძლია? რა პაპენმამენურ ენაზე მელაპარაკები...

— ფუტბოლის პროფესორობაზე პრეტენზია თუ გაქვს, „პაპენდრეხტიც“ უნდა იცოდე, ტო!

— არ ვიცი, ძმაო! „დორდრეხტი“ და „მაასტრიხტი“ გამიგია, მარა „პაპენდრეხტი“ ცვეტში ახალი დრეხტია...

— პროსტაამც... რა ბილეთი მქონდა, იცი? ხორვატიაში „კარლოვაცი“-„ისტრას“ პენალტე-ბში 7:6 მეწერა და ანგარიში დავსვი...

— კიდე რა?

— კონკაკაფში „ჯო პაბლიკის“ იქსდვაც დაჯდა და „უსტი ნად ლაბემი“ — „კლადნოს“ მეტიც ამოვიდა ჩეხეთის თასზე, მარა...

— რა მარა? „პაპენდრეხტმა“ გაგიმაზა?

— იმენა, მარტო მაგან გამიმაზა, არადა, გუნდია, ტო! ცვეტში ვიცი, 4-4-2-ს თამაშობს და სერიოზული სასტავი ყავს...

— ვის ვერ მოუგო?

— თასზე ხვდებოდა „ჰააგლანდიას“, ტო! მამენტ უნდა გადაერბინა „ჰააგლანდიასთვის“, კუშიც ეგეთი ეწერა, რო უეჭველი ერთიანი იკვეთებოდა...

— თუ იკვეთებოდა და არ დაჯდა, ზნაჩიტ, მისცა...

— მეც მანდა ვგდივარ. ეგრე მგონია, რომ პერერივზე დაურეკეს და უთხრეს, რო „ჰააგლან-დია“ უნდა გავიდესო. „პაპენდრეხტი“ იგებდა და ბოლო წუთზე გაუნიჩიავეს, მერე კიდე დაპალნიტელნიში ტრი ტრი დაჯდა და პენალტებში „პაპენდრეხტს“ ზაკაზად წააგებინეს. მაგას რომ მოეგო, ტოტალიზატორები იავნად იხვრიტებოდნენ და ცვეტში ვფიქრობ, რო „ჰააგლანდის“ დაუწვა... შენ რა გეწერა?

— ჩეხეთში თასზე მაგარი თამაში ვიპოვე, „მუტენიცე“ — „ბუდეიოვიცე“, მეთქი ორივე ცე და ცე, ნიჩია იქნება, მარამ „ბუდეიოვიცემ“ გაყიდა. ხალხს იქდვები ეწერა და 4:0 დამთავრდა. ეგ რო წავაგე, ლარნახევარი „ფრიდეკი“ — „სპარტას“ ლაბავოი ორიანი ვლეწე და მანდაც ბოლო ფულები ამეხა.

— რატო, ტო! „სპარტამ“ ჩატეხა?

— ზედიზედ მეორედ იყომარა, ძმაო. ორშაბათს ხო გაატყავა ხალხი, სახლში „ტეპლიცეს“ რომ არ მოუგო და ეხლა კიდე ჩემნაირებს ჯიბეებიდან დარჩენილი მაყუთი ამოუღო.

— დღეს რას ფიქრობ, ფინეთის ჰოკეიში „ილვესი“ — „პელიკანსის“ უეჭველი ერთიანი არ იკვეთება? „ილვესი“ ხო იცი, კონტრატაკის გუნდია და „პელიკანსი“ კიდე ბოლო ტურებში შავ პალასაზეა...

— არა, ძმაო, შაიბები არ მინდა. აგე, ჩრდილოეთ ირლანდიაში სნიკერსივით ორიანი ვიპოვე, „ნიური“ — „ინსტიტუტის“ ორიანს დავწერ. „ინსტიტუტი“ რო ჰქვია გუნდს, ზნაჩიტ, უკვე ვიში კლასია...

**ქუჩი ქოჩმარია**

ჩემი ბილეთი:
001 „ევერტონი“ — „ლივერპული“
შედეგი: ხმაური
სავარაუდო მოგება: ჩამოსასხმელი ციტრამონი
მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ, თუ ვინაა „პაპენდრეხტის“ ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი.

114140 *

# აბიატიმ ფაშიზმი აღიარა




**„მილანის“** მეკარემ კრისტიან აბიატიმ მოულოდ-ნელად განაცხადა, რომ ფაშისტია, მაგრამ თან დაა-მატა, რასისტობას ნუ დამწამებთო.

„როსონერიში“ მისი კონკურენტები ჟელკო კალაჩი და ნელსონ დიდა არიან. ამიტომ დიდი შანსია, აბია-ტის სათადარიგოთა სკამზე მოუხდეს ჯდომა და შე-საძლოა, მან ამ გზით სცადა ყურადღების მიპყრობა.

ასეა თუ ისე, აბიატის კომენტარებს მალე ალბათ ბევრი გამოხმაურება და კრიტიკა მოჰყვება, მაგრამ თავად ფეხბურთელს ეს არ აღელვებს.

„არ მრცხვენია ჩემი პოლიტიკური შეხედულებების და ამის საჯაროდ გახმაურებასაც არ ვერიდები. ფაში-ზმის გარკვეული ნიუანსები ძალიან მომწონს, მაგალი-თად, პატრიოტიზმთან და რელიგიასთან დაკავშირებით. მომწონს ფაშიზმის წესები და კანონები, რომლებიც ხალხს უსაფრთხოების გარანტიას აძლევს. თუმცა რასი-სტულ მიმართულებას და ადოლფ ჰიტლერის იდეებს ნამდვილად არ ვიზიარებ“ — თქვა აბიატიმ.

**გიორგი ქაქაბაძე**

## ეშტონი ერთი თვე დაისვენებს

**ლონდონის** „ვესტ ჰემის“ თავდამსხმელ დინ ეშტონს ოქტო-მბრის დასასრულამდე დასვენება მოუწევს. გასულ კვირას [illegible] ვარჯიშისას კოჭის ტრავმა მიიღო და უახლოეს მომავალში ოპერაცი-ას გაიკეთებს.

## დონოვანი და ბაიერნი

**ამერიკული** მეიჯორ ლიგის „ლოს ანჯელეს გელექსის“ ფორვარდი ლენდონ დონოვანი, შესაძლოა, ზამთარში მიუნხენის „ბაიერნში“ გადა-ბარგდეს.

„ბაიერნი“ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია. ჩემს ამჟა-მინდელ გუნდში ბოლომდე ვიხარჯები, მაგრამ თუ იანვრამდე ბავარიე-ლთა ინტერესი არ განელდება, მათ შემოთავაზებას აუცილებლად განვიხილავ“ — თქვა აშშ-ის ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა.

## მეციუმ ყატარი ჩაიბარა

**ბოლოს** და ბოლოს, ბრუნო მეციუს ბედიც გადაწყდა — ფრანგი სპეციალისტი ყატარის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. 54 წლის მეციუმ, რომელიც უკანასკნელ დროს არაბთა გაერთიანებული საემიროების ნაკრებში მუშაობდა, ყატარელებთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

## 27 მინეირუს

**ლონდონის** „ჩელსის“ ახალწვეულმა მინეირუმ 27-ნომრიანი მაისუ-რა მიიღო. ლუიშ ფელიპე სკოლარიმ 33 წლის ფეხბურთელი „სტემფორდ ბრიჯზე“ ტრავმირებული მიკაელ ესიენის შემცვლელის რანგში მოიყ-ვანა. ამჟამად ბრაზილიელი „ლურჯების“ სარეზერვო გუნდთან ერთად ვარჯიშობს და მისი ოფიციალური პრეზენტაცია უახლოეს მომავა-ლში იგეგმება.

## მაურინიუ პრესას გაებუტა

**მილანის** „ინტერის“ დამრიგებელმა ჟოზე მაურინიუმ სერია A-ს მორიგ ტურში „ლეჩესთან“ გამარჯვების შემდეგ ინტერვიუზე უარი განაცხადა და იტალიელი ჟურნალისტებიც განარისხა.

საბოლოო ჯამში, მედიის წინაშე პორტუგალიელი სპეციალისტის თანაშემწე ბეპე ბარეზი გამოცხადდა და შექმნილი მდგომარეობა გან-მარტა: „არავის განაწყენება არ გვსურს. უბრალოდ, შრომის ამგვარი განაწილება გვაქვს. მსოფლიოში საუკეთესო თანაშემწე რომ გავხდე, აუცილებელია, პრესასთან ურთიერთობის გამოცდილება შევიძინო“.

## სვენსონს კუნთი გაუწყდა

**შვედეთის** ნაკრებისა და „ელფსბორგის“ ნახევარმცველ ანდრეს სვენსონს ოპერაცია გაუკეთდება. 32 წლის ფეხბურთელმა ტრავმა შვედეთის ჩემპიონატში „ჰამარბიუსთან“ მატჩში მიიღო. სვენსონს კუნთი აქვს გაწყვეტილი და ტრავმის რეაბილიტაცია, სავარაუდოდ, სამ თვეს გაგრძელდება.

## ჩეხს ჩელსის სჯერა

**ჩეხეთის** ნაკრებისა და ლონდონის „ჩელსის“ მეკარე პეტრ ჩეხი თავისი გუნდის ძალებში აბსოლუტურად დარწმუნებულია და მიიჩნევს, რომ „არისტოკრატებს“ ყველა იმ ტურნირის მოგება ხელეწიფებათ, რომლებშიც მონაწილეობენ.

„ჩელსიში“ ძალიან კარგი ფეხბურთელები შეიკრიბნენ, რომელთაც ყველანაირი მიზნის მიღწევა შეუძლიათ. ტურნირებს მნიშვნელობის მიხედვით არ ვანაწილებთ, არამედ ვცდილობთ, ყოველ შეჯიბრში ბოლომდე დავიხარჯოთ. ამასთან, „ჩელსის“ სათადარიგო ფეხბურ-თელები ოსტატობით სხვა კლუბების ბევრ მოთამაშეს აღემატებიან“ — აღნიშნა გოლკიპერმა.

## მილანმა მექსიკელი ვუნდერკინდი დაიბევა

**„მილანმა“** კონტრაქტი 9 წლის მექსიკელ ბიჭთან გააფორმა. პატარა ედგარ ობრეგონი გვადალახარის „ჩივასის“ საფეხბურთო სკო-ლაში სწავლობს, სადაც მას სათამაშო სტილის გამო მეტსახელად „კატა“ შეარქვეს. „როსონერის“ ხელმძღვანელობა ამ ბავშვის ნიჭით ძალიან მოიხიბლა და პოტენციურ ვარსკვლავთან ხელშეკრულების დადება სასწრაფოდ გადაწყვიტა.

## სტივი რაფას მადლიერია

**„ლივერპულის“** კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა განაცხადა, რომ მსოფლიო ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელად ჩამოყალიბისთვის მერსისაიდელთა ესპანელ დამრიგებელ რაფაელ ბენიტესს უნდა უმად-ლოდეს.

„მას შემდეგ, რაც რაფა ჩვენს კლუბში მოვიდა, პროგრესირება ძალიან სწრაფად დავიწყე. ბენიტესი მაიძულებდა, სხვადასხვა პოზი-ციაზე მეთამაშა, რაც უნივერსალ ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში ნამდვილად დამეხმარა“ — ბრძანა „სტივი ჯიმ“.

**არჩილ ქობახიძე**




# ტურტლიანი გმირი

**კაცმა** რომ თქვას... თუმცა, კაცი როგორ იტყვის? კაცს შეუძლია, მხოლოდ და მხოლოდ ეჭვი გამოთქვას, რომ ტურტლიანი დოლბანდით გადახვეული ხელები, მოლაპლაპე ოფლი და გაბურძგნული წვერი არ უნდა იყოს იმ გმირის სახე, რომელზეც ქალები ოცნებობენ. თუმცა... თუ ეს ბინძური ვაჟკაცი არც მეტი და არც ნაკლები, დევიდ ბექჰემია, მაშინ უკვე ძნელი სათქმელია.

წარმოგიდგენიათ, ხომ? სპორტსმენის სხეული, ნაზი სახე, მკლავზე კიტაპური სვირინგები, თავზე მუშური ქუდი — ასე იქმნება გმირი, რომელიც სერიალ „გაქცევის" მთავარი გმირის, მაიკლ სკოფილდის მიხედვით შექმნეს და რომლის გამოსახულება 2009 წლის კალენდარს უეჭველად გაყიდის!

**ბაკუნა ძიდია**

# ტერი შტერი კი არ არის!




**ტერი ვენეიბლზმა** ინგლისურ საფეხბურთო საზოგადოებას გასაგებად განუმარტა, თუ რატომ თქვა „ნიუკასლ იუნაიტედის" დროებით მწვრთნელობაზე უარი.

„ამის ერთი და მხოლოდ ერთი მიზეზი არსებობს — დაწერა ცნობილმა მწვრთნელმა „სანში" გამოქვეყნებულ საგაზეთო სტატიაში — ეს დროის სიმცირეა. „ნიუკასლ იუნაიტედი" ძალიან ბევრი ადამიანისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს და ასეთი კლუბის დროებით ჩაბარება არასერიოზული მგონია. „ნიუკასლი" ის კლუბია, რომლის მწვრთნელმა ყველაფერი უნდა დაივიწყოს და საქმეში გული და სული ჩადოს. არ მინდა ტი-საიდში ჩავიდე და სანამ საქმეს კბილებს ბოლომდე ჩავასობ, მაგრძნობინონ, რომ ჩემი დრო ამოიწურა და გუნდისთვის საჭირო სიმაღლეები ვერ დავიპყარი. წინადადება, რომელიც „სენტ ჯეიმს პარკიდან" მივიღე, საკმაოდ ბუნდოვანი გახლდათ. მის მიხედვით შეიძლებოდა, „კაჭკაჭების" მწვრთნელად მემუშავა ორი კვირის, ორი თვის ან ორი წლის განმავლობაში. მოკლედ, გაუგებრობა ფრიად დიდი იყო, არადა, მე თუ საქმეს ხელს მოვკიდებდი, ზუსტად უნდა მცოდნოდა, რას მავალებენ, რა ამოცანა მაქვს გადასაწყვეტი. ერთადერთი, რასაც მპირდებოდნენ, ისაა, რომ „ნიუკასლ იუნაიტედის" მწვრთნელად დამტოვებენ მანამ, სანამ მას მაიკლ ეშლი ფლობს... კი, მაგრამ ვინ იცის, როდის გაყიდის ეშლი „ნიუკასლ იუნაიტედს"?"

P.S. გუშინ „ნიუკასლს" დროებით თავკაცად ჯო კინეარი დაუნიშნეს.

**ბაკუნა ძიდია**

| VI ტური |
| --- |
| **დღეს** |
| არსენალი — ჰალი |
| ასტონ ვილა — სანდერლენდი |
| ევერტონი — ლივერპული |
| ფულემი — ვესტ ჰემი |
| მანჩესტერი — ბოლტონი |
| მიდლსბრო — ვესტ ბრომვიჩი |
| ნიუკასლი — ბლექბერნი |
| სტოკი — ჩელსი |
| **ხვალ** |
| პორტსმუთი — ტოტენჰემი |
| უიგანი — სიტი |

# ინგლისი

# ლივერპულის ორი საათი

**ჯერჯერობით** დაუმარცხებელი „ლივერპული" 179-ე მერსისაიდულ დერბიში სტუმრად „ევერტონს" ხვდება, რომელსაც ამ სეზონში შინ ქულაც კი არ აუღია.

შუაკვირაში, ლიგის თასზე „ლივერპულმა" „ქრიუს" დანიელ აგერის და ლუკაშ ლეივას გოლებით 2:1 მოუგო, ხოლო „ევერტონი" ბლექბერნში 0:1 დამარცხდა.

შარშან ორივე მერსისაიდული დერბი „ლივერპულის" გამარჯვებით (2:1, 1:0) დასრულდა. დღეს მასპინძლებს ვიქტორ ანიჩებე, სტივენ პიენაარი და ტონი ჰიბერტი დააკლდებიან. სტუმრებს ტრავმირებულები არ ჰყავთ.

„ევერტონს" 2005 წლის შემდეგ შინ ზედიზედ სამი მატჩი არ წაუგია, „ლივერპული" კი, დღეს თუ მოიგებს, სულ მცირე, ორი საათით, ცხრილის თავში გადაბრძანდება.

პრემიერლიგაში პირველი საშინაო თამაშის მოგებას ეცდება „მანჩესტერი", რომელიც „ბოლტონს" უმასპინძლებს. ალექს ფერგიუსონის გუნდმა შუა კვირაში ლიგის თასზე „მიდლსბრო" 3:1 დაამარცხა რონალდუს, გიგზისა და ნანის გოლებით. 2003 წლიდან „მანჩესტერმა" „ბოლტონს" შინ ყველა მატჩი მოუგო და ორზე ნაკლები გოლი არ გაუტანია.

ბოლტონელებმა ლიგის თასზე „ნორთჰემპტონს" უმასპინძლეს და 1:2 დამარცხდნენ. გარი მეგსონის გუნდს 16 აგვისტოს მერე ზედიზედ ხუთ მატჩში არ მოუგია.

„მანჩესტერს" ედვინ ვან დერ სარი და მაიკლ კერიკი ჰყავს დაშავებული, ხოლო „ბოლტონს" — მეტიუ ტეილორი და იოჰან ელმანდერი.

1985 წლის შემდეგ „სტოკი" და „ჩელსი" ერთმანეთს პირველად შეხვდებიან. მაშინ ლონდონელებმა სტუმრად 1:0 მოიგეს. „სტოკმა" გასულ ტურში ლივერპულიდან ქულა წაიღო და ახლა მეორე დიდ გუნდთან მოუწევს ჭიდაობა.

„ჩელსიმ" თასზე პორტსმუთში 4:0 იმარჯვა ლამპარდის დუბლით, მალუდას და კალუს გოლებით, ხოლო „სტოკი" „რედინგს" 2:2 დაუზავდა და პენალტებში აჯობა.

ლუიშ ფელიპე სკოლარის გუნდს დეკუ და მიკაელ ესიენი ვერ დაეხმარებიან, არც რიკარდუ კარვალიუ იქნება. „სტოკს" იბრაჰიმა სონკო დააკლდება.

„ნიუკასლს" „ბლექბერნი" 2003 წლიდან შინ არ დაუმარცხებია და დღეს ნავსის გატეხვას შეეცდება. ბოლო ათი სეზონის განმავლობაში, ამ გუნდების 16 მატჩში „ნიუკასლმა" მხოლოდ ხუთჯერ მოიგო.

მესამე ტურში „არსენალთან" მარცხისა და კევინ კიგანის წასვლის მერე, „კაჭკაჭებმა" ზედიზედ სამი თამაში წააგეს — ორი პრემიერლიგაში და ერთიც გასულ ოთხშაბათს, ლიგის თასზე „ტოტენჰემთან" (1:2). „ბლექბერნმა" კი სათასო მატჩში შინ „ევერტონს" ოლსონის გოლით 1:0 მოუგო.

„ნიუკასლს", შესაძლოა, ტრავმამოშუშებული მარკ ვიდუკა და ჰაბიბ ბეიე დაუბრუნდნენ, „ბლექბერნს" კი ალბათ პოლ რობინსონი, ვინსენტ გრელა და დევიდ დანი დააკლდებიან.

„ვესტ ბრომვიჩს" მიდლსბროში 56 წელია, არ მოუგია და საეჭვოა, რომ დღეს მოახერხოს, რადგან „მიდლსბრო" ამ სეზონში შინ ჯერჯერობით კარგად თამაშობს — ორიდან ორი საშინაო შეხვედრა მოიგო.

„ბორომ" ლიგის თასზე „მანჩესტერთან" სტუმრად 1:3 დამარცხდა, „ვესტ ბრომვიჩი" კი თასიდან აგვისტოშივე გავარდა.

ბოროელებს ემანუელ პოგატეცი, აჰმედ მიდო და თუნჯაი შანლი ვერ დაეხმარებიან, ხოლო ვესტბრომელებს — კრის ბრანტი და აბდულაი მეიტე.

ლონდონურ დერბიში „ფულემი" „ვესტ ჰემს" უმასპინძლებს და 1966 წლის მერე „ჩაქუჩებთან" პირველი საშინაო თამაშის მოგებას შეეცდება. პრემიერლიგაში გადმოსვლის (2001) შემდეგ, „ვესტ ჰემი" „ფულემს" აშკარად ჩაგრავს. ამ გუნდების ათი შეხვედრიდან „ჩაქუჩებმა" ექვსჯერ იმარჯვეს, სამი ფრედ დასრულდა და ერთხელ დამარცხდნენ.

ლიგის თასზე შუაკვირაში ორივე გუნდმა სტუმრად წააგო: „ვესტ ჰემმა" „უოტფორდთან" 0:1 და „ფულემმაც" „ბარნლისთან" ასეთივე ანგარიშით.

მასპინძლებს დიომანსი კამარა დააკლდებათ, ხოლო სტუმრებს — დინ ეშტონი და კირონ დაიერი.

თასზე ქპრ-სთან მოულოდნელი საშინაო მარცხის (0:1) შემდეგ, „ასტონ ვილა" ბირმინგემში „სანდერლენდს" დაუხვდება, რომელმაც სათასო შეხვედრაში „ნორთჰემპტონს" (2:2) პენალტებით მოუგო.

ლიდერმა „არსენალმა" თასზე „შეფილდ იუნაიტედთან" მეორე შემადგენლობით ითამაშა და მეტოქე 6:0 გაანადგურა. მექსიკელმა კარლოს ველამ ჰეთ თრიქი შეასრულა, ნიკლას ბენდტნერმა — დუბლი, და ერთიც უილშირმა შეაგდო.

დღეს „ჰალთან", რომელიც სტუმრად ჯერ არ დამარცხებულა, „მეთოფეებს" აბუ დიაბი და ტომაშ როსიცკი არ ეყოლებათ, სამირ ნასრი კი, შესაძლოა, დაბრუნდეს.

ზედიზედ ორ მატჩში 10 გოლის გამშვები „პორტსმუთი" „ტოტენჰემს" უმასპინძლებს. პორტელებმა გასულ ტურში „სიტისთან" სტუმრად 0:5 წააგეს, მერე კი თასზე „ჩელსისთან" შინ 0:4 დამარცხდნენ. „ტოტენჰემმა" სათასო მატჩში „ნიუკასლს" გასვლაზე 2:1 მოუგო პავლიუჩენკოს და ოჰარას გოლებით.

„პორტსმუთს" ლორანი და რიჩარდ ჰიუზი გამოუკეთდნენ, შონ დევისი და ნიკო კრანჩარი კი ალბათ კვლავ ვერ ითამაშებენ. გამოჯანმრთელდა „ტოტენჰემის" ხორვატი ნახევარმცველი ლუკა მოდრიჩიც და შესაძლოა, ითამაშოს.

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 1 არსენალი | 5 | 4 | 0 | 1 | 11:2 | 9 | 12 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 7:2 | 5 | 6 |
| 2 ჩელსი | 5 | 3 | 2 | 0 | 10:3 | 7 | 11 | 3 | 1 | 2 | 0 | 6:2 | 4 | 5 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 6 |
| 3 ლივერპული | 5 | 3 | 2 | 0 | 5:2 | 3 | 11 | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 |
| 4 ასტონ ვილა | 5 | 3 | 1 | 1 | 10:7 | 3 | 10 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 4 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 1 | 6 |
| 5 სიტი | 5 | 3 | 0 | 2 | 15:7 | 8 | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 10:3 | 7 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 1 | 3 |
| 6 ვესტ ჰემი | 5 | 3 | 0 | 2 | 11:9 | 2 | 9 | 3 | 3 | 0 | 0 | 9:3 | 6 | 9 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | -4 | 0 |
| 7 ჰალი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:10 | -3 | 8 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:8 | -4 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 |
| 8 სანდერლენდი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | -1 | 7 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 |
| 9 ევერტონი | 5 | 2 | 1 | 2 | 9:11 | -2 | 7 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | -4 | 0 | 3 | 2 | 1 | 0 | 7:5 | 2 | 7 |
| 10 ბლექბერნი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:11 | -5 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:5 | -3 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:6 | -2 | 3 |
| 11 ფულემი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 0 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | -2 | 0 |
| 12 მიდლსბრო | 5 | 2 | 0 | 3 | 6:8 | -2 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 2 | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | -4 | 0 |
| 13 პორტსმუთი | 5 | 2 | 0 | 3 | 5:12 | -7 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:10 | -7 | 3 |
| 14 უიგანი | 5 | 1 | 2 | 2 | 7:4 | 3 | 5 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:2 | 4 | 4 |
| 15 მანჩესტერი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 0 | 5 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 |
| 16 ვესტ ბრომვიჩი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:7 | -2 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | -1 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | -1 | 1 |
| 17 ბოლტონი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:7 | -2 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 0 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | -2 | 0 |
| 18 სტოკი | 5 | 1 | 1 | 3 | 7:10 | -3 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | 0 | 3 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | -3 | 1 |
| 19 ნიუკასლი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:9 | -5 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | -5 | 1 |
| 20 ტოტენჰემი | 5 | 0 | 2 | 3 | 4:7 | -3 | 2 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 |

**ვაჟა ხუციშვილი**

# საინტერესო გადაწყვეტილება



**ასე და** ამგვარად, ევროპული ფეხბურის ბოსების გადაწყვეტილებით, მომავალი სეზონიდან უეფას თასი ფორმატს შეიცვლის და „უეფას ევროლიგად“ გარდაიქმნება. ინგლისურად მას ერქმევა UEFA Europa League.

შეჯიბრების გადასხვაფერებას, ბუნებრივია, თავისი კონკრეტული მიზეზი აქვს, რომლის მიხვედრაც მეტისმეტად იოლია: ჩემპიონთა ლიგის მზარდი ბრწყინვალების ფონზე, უეფას თასმა კლასიკური სახით ხიბლი დაკარგა.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, შეჯიბრება მხოლოდ სახელწოდებას კი არა, ფორმატსაც იცვლის. კერძოდ, როგორც უეფას აღმასკომმა დაადგინა, ახალი ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე 48 გუნდი ითამაშებს და შეხვედრები შინ და სტუმრად გაიმართება. შეჯიბრებას ექნება ახალი ლოგო, ხოლო მისი სატელევიზიო და მარკეტინგული უფლებები ცენტრალიზებული იქნება.

უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ ოფიციალურ განცხადებაში ასე ბრძანა:

„ცვლილებები ამ ისტორიულ შეჯიბრებას ფრიად გამოასწორებს, რაც ევროპული ფეხბურთისთვის, კლუბებისთვის და ფანებისთვის ფრიად მნიშვნელოვანი იქნება. დარწმუნებული ვარ, ახალი ფორმატი უეფას ევროლიგას დიდ წარმატებას მოუტანს“.

**ბაკუნა ძიდია**



# უემბლი!
## ანუ ბრიტანეთმა ვერ დააჯღვია

**სარწმუნო** წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ ჩემპიონთა ლიგის 2011 წლის ფინალს „უემბლის“ სტადიონი უმასპინძლებს. რა საჭიროა ასეთი კონსპირაცია? საქმე ის გახლავთ, რომ გადაწყვეტილება ჯერ ოფიციალური არ არის. მას დამტკიცებული სახე დეკემბერში, უეფას აღმასკომის მორიგ სხდომაზე მიეცემა, მანამდე კი ბრიტანეთის მთავრობასა და ევროპული ფეხბურთის მმართველებს გადასახადებთან დაკავშირებული საკითხი ჰქონდათ მოსაგვარებელი. ამის გარეშე „უემბლი“ ხსენებულ ფინალს ვერ იხელთებდა, მაგრამ, როგორც ზემოხსენებულმა წყარომ ბრძანა, ახლა ყველაფერი მოგვარებულია.

სხვათა შორის, ის, რომ 2010 წლის ფინალი ლონდონში კი არა, მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გაიმართება, სწორედ ხსენებული საგადასახადო დავის ბრალია. საქმე ის გახლავთ, რომ ბრიტანეთის მთავრობას ფინალში მოთამაშე ფეხბურთელები თავად უნდოდა დაეზღვია, უეფა კი ამის ნებას არ რთავს. ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოს წესით, მოთამაშეები თავიანთ ქვეყნებში, ასე ვთქვათ, მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე უნდა დააზღვიონ.

მეორე წყაროს თანახმად, აღმასკომის დეკემბრის თათბირამდე, ნოემბერში, საკუთრივ ჩემპიონთა ლიგის კომიტეტი შეიკრიბება და ის შეუმზადებს „დეკემბრელებს“ გადაწყვეტილებისთვის ნიადაგს.

2010 და 2011 წლების ფინალური მატჩების მასპინძლობა „სანტიაგო ბერნაბეუსა“ და „უემბლის“ გარდა, სურდათ ბერლინის „ოლიმპიაშტადიონს“, მიუნხენის „ალიანც-არენას“ და ვალენსიის „მესტალიასაც“.

**ბაკუნა ძიდია**

| VI ტური |
| --- |
| **გუშინ** |
| კიოლნი — შალკე |
| გუშინ გაიმართა და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის |
| **დღეს** |
| ვერდერი — ჰოფენჰაიმი |
| ჰამბურგი — გლადბახი |
| ჰანოვერი — ბაიერნი |
| ჰერტა — კოტბუსი |
| ბოხუმი — ლევერკუზენი |
| დორტმუნდი — შტუტგარტი |
| **ხვალ** |
| აინტრახტი — არმინია |
| კარლსრუე — ვოლფსბურგი |

# გერმანია
## მოსალოდნელია რიბერი

**იშტაზე** მოსული ბრემენის „ვერდერი“ მეორეადგილოსან „ჰოფენჰაიმს“ უმასპინძლებს, რომელიც თასზე „ფრაიბურგთან“ 1:3 დამარცხდა. ბრემენელმა „მუსიკოსებმა“ ჩემპიონატში ზედიზედ ორი გამარჯვების შემდეგ აუე-სთან სათასო მატჩიც მოიგეს (2:1) პისაროსა და როსენბერგის გოლებით.

„ვერდერსაც“ და „ჰოფენჰაიმსაც“ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები ჯანზე ჰყავთ.

მიუნხენის „ბაიერნმა“ „ვერდერთან“ საშინელი მარცხის (2:5) მერე, თასზე „ნიურნბერგთან“ გამარჯვებით (2:0) ამოისუნთქა. გოლები კლოზემ და ბოროვსკიმ გაიტანეს. ამ მატჩის 65-ე წუთზე ფრანკ რიბერი შეცვლაზე შევიდა და სეზონში პირველად ითამაშა. ფრანგი ნახევარმცველი დღეს „ჰანოვერთან“, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში იქნება. ტრავმირებულნი არიან ვილი სანიოლი და ჰამით ალთინთოფი, „ჰანოვერს“ კი, რომელიც თასზე „შალკესთან“ სტუმრად 0:2 დამარცხდა, ბრუგინკი და ტარნატი დააკლდებიან.

„ბაიერნს“ ჰანოვერში 1988 წლის შემდეგ არ წაუგია.

ზედიზედ სამი მოუგებელი მატჩის მერე, „დორტმუნდმა“ სათასო შეხვედრაში „ჰერტას“ 2:1 სძლია ფრაისა და კლიმოვიჩის გოლებით, დღეს კი „შტუტგარტს“ უმასპინძლებს, რომელმაც მიჯრით სამი თამაში მოიგო. მათ შორის ბოლო — თასზე, „არმინიასთან“ (2:0). გოლები კაკაუმ და მარიკამ გაიტანეს.

„დორტმუნდს“ მოჰამედ ზიდანი, დედე, ბლაშჩიკოვსკი და ოვომოიელა არ ეყოლება, ხოლო „შტუტგარტს“ — ბაშთურქი და პარდო.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ათი სეზონის განმავლობაში „დორტმუნდმა“ „შტუტგარტი“ შინ მხოლოდ ოთხჯერ დაამარცხა.

„ჰამბურგი“ „გლადბახს“ დაუხვდება, რომელიც ყველაზე სუსტი დაცვით (12 გაშვებული გოლი) გამოირჩევა. შუაკვირაში, თასზე „ჰამბურგმა“ პეტრიჩის დუბლით შინ „ბოხუმს“ სძლია, „გლადბახმა“ კი სტუმრად „კოტბუსთან“ 0:3 წააგო.

აქვე ვთქვათ, რომ გლადბახელებს ჰამბურგში 14 წელია, არ მოუგიათ.

ბუნდესლიგაში ყველაზე მეტის გამტანი „ლევერკუზენი“ ბოხუმში კარგ ხასიათზე ჩაბრძანდება, რადგან სათასო მატჩში „აუგბსბურგს“ სტუმრად კისლინგის და ვიდალის გოლებით სძლია.

ზედიზედ ხუთი მოუგებელი თამაშის შემდეგ, „კოტბუსმა“ თასზე „გლადბახის“ დამარცხებით გაიხარა და დღეს „ჰერტას“ ბერლინში ესტუმრება, სადაც უკვე ორი სეზონია, გოლი არ გაუშვია. საერთოდ კი, „ჰერტას“ „კოტბუსისთვის“, შინ თუ სტუმრად, 2003 წლის აქეთ არ მოუგია. ბერლინელებს მოჰამედ შერმიტი და ლენარტ ჰარტმანი ვერ დაეხმარებიან.

მიჯრით სამი წაგების კვალად, „კარლსრუემ“ „ოფენბახთან“ გასვლით სათასო შეხვედრაში 2:0 იმარჯვა. გოლები ალექსანდრე იაშვილმა და პორჩელომ გაიტანეს. ქართველი ხვალ კვლავ სასტარტოში იქნება „ვოლფსბურგთან“, რომელმაც თასზე „ობერნოილანდთან“ გაისეირნა და 7:0 მოიგო. ედინ ძეკომ პოკერი შეასრულა, ხოლო თითოთითო, შიოფერმა, დეჯაგამ და კაიუბიმ შეაგდეს.

„კარლსრუეს“ სტეფანო ჩელოძი და ედმონდ კაპლანი დააკლდება, „ვოლფსბურგს“ კი დანიელ რაიხი.

ფრანკფურტის „აინტრახტი“ ბილეფელდის „არმინიას“ უმასპინძლებს და სეზონში პირველი მატჩის მოსაგებად იბრძოლებს. სათასო მატჩებში „აინტრახტი“ შინ „ჰანზასთან“ დამარცხდა, „არმინია“ კი სტუმრად „შტუტგარტთან“.

ფრანკფურტელებს ტრავმირებული ჰყავთ იოანის ამანტიდისი, კრისი და ფატონ ტოსკი.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 1 შალკე | 5 | 3 | 2 | 0 | 9:4 | 5 | 11 | 3 | 3 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 9 | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 0 | 2 |
| 2 ჰოფენჰაიმი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:6 | 4 | 10 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 7 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | 0 | 3 |
| 3 შტუტგარტი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:4 | 4 | 10 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 |
| 4 ჰამბურგი | 5 | 3 | 1 | 1 | 11:10 | 1 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 2 | 6 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:7 | -1 | 4 |
| 5 ლევერკუზენი | 5 | 3 | 0 | 2 | 15:8 | 7 | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 11:5 | 6 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 3 |
| 6 ვოლფსბურგი | 5 | 2 | 3 | 0 | 11:7 | 4 | 9 | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 4 | 7 | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 0 | 2 |
| 7 ვერდერი | 5 | 2 | 2 | 1 | 13:8 | 5 | 8 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 9:7 | 2 | 4 |
| 8 ბაიერნი | 5 | 2 | 2 | 1 | 12:9 | 3 | 8 | 3 | 1 | 1 | 1 | 8:8 | 0 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 4 |
| 9 ჰერტა | 5 | 2 | 2 | 1 | 7:7 | 0 | 8 | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 6 |
| 10 დორტმუნდი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:10 | -1 | 8 | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 0 | 2 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:6 | -1 | 6 |
| 11 ბოხუმი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:5 | 0 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | -2 | 1 |
| 12 არმინია | 5 | 1 | 2 | 2 | 7:9 | -2 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 0 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |
| 13 კიოლნი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | -4 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | -3 | 1 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | -1 | 3 |
| 14 ჰანოვერი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:10 | -5 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 4 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:9 | -9 | 0 |
| 15 კარლსრუე | 4 | 1 | 0 | 3 | 3:7 | -4 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 0 |
| 16 გლადბახი | 5 | 1 | 0 | 4 | 5:12 | -7 | 3 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | -2 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 |
| 17 აინტრახტი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | -3 | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | -1 | 2 |
| 18 კოტბუსი | 5 | 0 | 2 | 3 | 1:8 | -7 | 2 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | -4 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | -3 | 1 |

ელექტრონული ბიბლიოთეკა

| 22:30 | 805 | მეხელენ-დენდერი | 1.90 | 3.30 | 3.85 | 1.20 | 1.27 | 1.77 |
| | | ბელგია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 27 სექტემბერი | | | | | | |
| 22:00 | 352 | ანტვერპენი-ბრიუსელი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| 22:00 | 353 | დაინცე-ლომელი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 22:00 | 354 | ოსტენდე-სტ-ტრუიდენსი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 22:00 | 355 | ტურნაი-რონსე | 1.80 | 3.20 | 4.30 | 1.15 | 1.26 | 1.83 |
| 22:00 | 360 | ვაასლანდი-ეუპენი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| | | 28 სექტემბერი | | | | | | |
| 17:00 | 356 | ლიერსე-ვირტონი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 17:00 | 357 | ჰამე-ოლიმპიკი | 1.80 | 3.40 | 4.20 | 1.17 | 1.25 | 1.87 |
| 17:00 | 358 | ნამური-ბევერენი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 17:00 | 359 | ტინენი-ლიერსი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | ჰოლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 27 სექტემბერი | | | | | | |
| 20:45 | 361 | ბრედა-ჰერენვენი | 2.45 | 3.30 | 2.65 | 1.40 | 1.27 | 1.46 |
| 21:45 | 362 | პსვ-ვოლენდამი | 1.15 | 6.50 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.53 |
| 21:45 | 363 | ტვენტე-გრაასხაპი | 1.35 | 4.50 | 7.50 | 1.03 | 1.14 | 2.81 |
| 22:45 | 364 | ტილბურგი-ალკმაარი | 2.90 | 3.25 | 2.40 | 1.53 | 1.31 | 1.38 |
| | | 28 სექტემბერი | | | | | | |
| 14:30 | 365 | დენ ჰააგი-უტრეხტი | 2.40 | 3.30 | 2.85 | 1.38 | 1.30 | 1.52 |
| 16:30 | 366 | აიაქსი-ვიტესი | 1.25 | 5.50 | 12.00 | 1.01 | 1.13 | 3.77 |
| 16:30 | 367 | გრონინგენი-ფეიენოორდი | 2.60 | 3.40 | 2.50 | 1.47 | 1.27 | 1.44 |
| 16:30 | 368 | ნაიმეგენი-ჰერაკლესი | 1.70 | 3.50 | 4.55 | 1.14 | 1.23 | 1.97 |
| 16:30 | 369 | სპარტა-როდა | 2.55 | 3.25 | 2.65 | 1.42 | 1.29 | 1.45 |
| | | ჰოლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 27 სექტემბერი | | | | | | |
| 21:30 | 376 | ემენი-მაასტრიხტი | 2.75 | 3.40 | 2.35 | 1.52 | 1.26 | 1.38 |
| 21:30 | 377 | ტელსტარი-ჰელმონდი | 2.75 | 3.30 | 2.45 | 1.50 | 1.29 | 1.40 |
| 21:30 | 378 | ვენლო-ექსელსიორი | 2.25 | 3.30 | 2.90 | 1.33 | 1.26 | 1.54 |
| | | 28 სექტემბერი | | | | | | |
| 16:30 | 379 | ეინდჰოვენი-ოსი | 2.65 | 3.30 | 2.50 | 1.46 | 1.28 | 1.42 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 27 სექტემბერი | | | | | | |
| 23:45 | 382 | ბენფიკა-სპორტინგი | 2.40 | 3.20 | 2.90 | 1.37 | 1.31 | 1.52 |
| 20:15 | 383 | ბრაგა-ნავალი | 1.60 | 3.60 | 5.50 | 1.10 | 1.23 | 2.17 |
| 22:00 | 387 | სეტუბალი-რიუ ავე | 1.80 | 3.40 | 4.50 | 1.17 | 1.28 | 1.93 |
| | | 28 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 384 | მარიტიმუ-აკადემიკა | 2.00 | 3.20 | 3.80 | 1.23 | 1.31 | 1.73 |
| 19:00 | 385 | ნასიონალი-ამადორა | 1.80 | 3.40 | 4.40 | 1.17 | 1.27 | 1.91 |
| 23:15 | 388 | ტროფენსე-გიმარაეში | 3.40 | 3.20 | 2.15 | 1.64 | 1.31 | 1.28 |
| | | 29 სექტემბერი | | | | | | |
| 22:45 | 381 | ბელენენსეში-ლეიშოეში | 1.90 | 3.30 | 4.00 | 1.20 | 1.28 | 1.80 |
| | | პორტუგალია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 28 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 389 | ბოავიშტა-ავეში | 1.90 | 3.25 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.73 |
| 19:00 | 390 | ეშტორილი-ბეირა მარი | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 19:00 | 391 | ჟილ ვისენტე-ფრეამუნდე | 1.90 | 3.30 | 3.60 | 1.20 | 1.24 | 1.72 |
| 19:00 | 392 | გონდომარი-ლეირია | 2.30 | 3.10 | 2.85 | 1.32 | 1.27 | 1.48 |
| 14:15 | 393 | სანტა კლარა-პორტიმონენსე | 2.15 | 3.10 | 3.20 | 1.26 | 1.28 | 1.57 |
| 19:00 | 394 | კოვილია-ფეირენსე | 2.25 | 3.10 | 3.10 | 1.30 | 1.30 | 1.54 |
| 19:00 | 395 | ვარზიმი-ოლიანენსე | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| 19:00 | 396 | ვიზელა-ოლივეირენსე | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| | | საბერძნეთი. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 27 სექტემბერი | | | | | | |
| 20:00 | 397 | პანსერაიკოსი-ლარისა | 2.60 | 3.20 | 2.65 | 1.43 | 1.31 | 1.44 |
| 20:00 | 398 | ოფი-ოლიმპიაკოსი | 6.00 | 3.50 | 1.60 | 2.21 | 1.26 | 1.09 |
| | | 28 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 399 | ირაკლისი-პანთრაკიკოსი | 1.60 | 3.40 | 6.00 | 1.08 | 1.26 | 2.17 |
| 18:00 | 400 | ლევადიაკოსი-ასტერას ტრიპოლისი | 2.50 | 3.00 | 2.85 | 1.36 | 1.33 | 1.46 |
| 20:00 | 401 | პანიონიოსი-აეკ | 3.35 | 3.20 | 2.15 | 1.63 | 1.30 | 1.28 |
| 20:00 | 402 | ქსანთი-ტრასივულოსი | 1.50 | 3.60 | 7.50 | 1.05 | 1.25 | 2.43 |
| 22:15 | 403 | პაოკ-არისი | 1.85 | 3.30 | 4.30 | 1.18 | 1.29 | 1.86 |
| | | თურქეთი. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 27 სექტემბერი | | | | | | |
| 20:15 | 405 | ისტანბული-ბეშიქთაში | 4.35 | 3.35 | 1.75 | 1.89 | 1.24 | 1.14 |
| 20:00 | 407 | ტრაბზონი-ანტალია | 1.40 | 4.20 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.62 |
| 21:00 | 409 | ქოჯაელი-ბურსა | 2.55 | 3.20 | 2.65 | 1.41 | 1.29 | 1.44 |
| 21:00 | 412 | გენჩლერბირლიგი-ანკარა | 2.25 | 3.25 | 3.20 | 1.32 | 1.32 | 1.61 |
| | | 28 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 406 | გაზიანთეფი-დენიზლი | 2.00 | 3.25 | 3.35 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 21:00 | 410 | კაისერი-ესკიშეჰირი | 1.45 | 3.80 | 7.50 | 1.04 | 1.21 | 2.52 |
| 22:00 | 411 | გალათასარაი-კონია | 1.25 | 4.80 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.34 |
| 21:00 | 413 | ჰაჯეთეფე-ანკარაგუჯუ | 2.40 | 3.20 | 2.90 | 1.37 | 1.31 | 1.52 |
| | | რუსეთი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 27 სექტემბერი | | | | | | |
| 17:15 | 414 | ნალჩიკი-ენერგია | 1.75 | 3.20 | 5.00 | 1.13 | 1.29 | 1.95 |
| 16:00 | 415 | ლოკომოტივი-ზენიტი | 2.90 | 2.80 | 2.55 | 1.42 | 1.35 | 1.33 |
| 15:00 | 416 | შინიკი-სპარტაკი | 5.70 | 3.30 | 1.65 | 2.08 | 1.27 | 1.10 |
| 14:00 | 417 | კრილია-დინამო | 2.40 | 2.80 | 3.00 | 1.29 | 1.33 | 1.44 |
| 19:30 | 421 | ცსკა-ტომსკი | 1.35 | 4.30 | 10.00 | 1.02 | 1.18 | 3.00 |
| | | 28 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 418 | რუბინი-მოსკოვი | 1.60 | 3.40 | 5.90 | 1.08 | 1.25 | 2.15 |
| 15:00 | 419 | სატურნი-ამკარი | 2.25 | 2.80 | 3.40 | 1.24 | 1.35 | 1.53 |
| 16:00 | 420 | ტერეკი-ხიმკი | 1.85 | 3.10 | 4.35 | 1.15 | 1.29 | 1.81 |
| | | პოლონეთი. I ლიგა | | | | | | |
| | | 27 სექტემბერი | | | | | | |
| 17:15 | 424 | ოდრა-ბელხატუვი | 2.10 | 3.20 | 3.55 | 1.26 | 1.31 | 1.68 |
| 19:30 | 425 | ლეგია-პიასტი | 1.25 | 5.10 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.37 |
| 20:15 | 426 | ვისლა-არკა | 1.45 | 4.00 | 7.00 | 1.06 | 1.20 | 2.54 |
| 21:45 | 427 | რუხი-იაგელონია | 1.80 | 3.30 | 4.80 | 1.16 | 1.30 | 1.95 |
| | | 28 სექტემბერი | | | | | | |
| 18:45 | 428 | ლოძი-ლეხი | 4.80 | 3.30 | 1.75 | 1.95 | 1.28 | 1.14 |
| 18:45 | 429 | სლასკი-კრაკოვია | 1.70 | 3,30 | 5,10 | 1.12 | 1.27 | 2.00 |
| | | ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა | | | | | | |
| | | 27 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 432 | პლზენი-ბანიკი | 2.60 | 2.85 | 2.80 | 1.35 | 1.34 | 1.41 |
| | | 28 სექტემბერი | | | | | | |
| 12:15 | 433 | ჟიჟკოვი-ბოლესლავი | 2.90 | 2.90 | 2.50 | 1.45 | 1.34 | 1.34 |
| 17:00 | 434 | ბუდეიოვიცე-იაბლონეცი | 2.55 | 2.90 | 2.90 | 1.35 | 1.35 | 1.45 |
| 19:00 | 435 | ტეპლიცე-ზლინი | 1.60 | 3.30 | 5.50 | 1.07 | 1.23 | 2.06 |
| 19:00 | 436 | პრჟიბრამი-ბოჰემიანსი | 2.00 | 3.00 | 3.50 | 1.20 | 1.27 | 1.61 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 437 | ბრნო-კლადნო | 1.42 | 4.10 | 6.50 | 1.05 | 1.16 | 2.51 |
| 22:00 | 438 | სლავია-სიგმა | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.13 | 2.39 |
| | | 29 სექტემბერი | | | | | | |
| 19:15 | 439 | ლიბერეცი-სპარტა | 3.50 | 2.90 | 2.20 | 1.58 | 1.35 | 1.25 |
| | | ჩეხეთი. II ლიგა | | | | | | |
| | | 27 სექტემბერი | | | | | | |
| 12:15 | 442 | სოკოლოვი-უსტი ნად ლაბემ | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 12:15 | 443 | სპარტა ბ-კარვინა | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 12:15 | 444 | ტრინეცი-იჰლავა | 2.25 | 3.00 | 3.20 | 1.28 | 1.32 | 1.54 |
| 12:30 | 445 | დუკლა პრაღა-ოპავა | 2.35 | 2.90 | 2.90 | 1.29 | 1.29 | 1.45 |
| 18:30 | 446 | ჩასლავი-ბოჰემიანსი 1905 | 2.70 | 3.00 | 2.55 | 1.42 | 1.31 | 1.37 |
| 18:30 | 447 | ოლომოუცი-ჰრადეც კრალოვე | 2.30 | 2.90 | 3.20 | 1.28 | 1.33 | 1.52 |
| | | სლოვაკეთი. I ლიგა | | | | | | |
| | | 27 სექტემბერი | | | | | | |
| 17:00 | 449 | არტმედია-სტრედა | 1.85 | 3.20 | 3.75 | 1.17 | 1.23 | 1.72 |
| 20:30 | 450 | ნიტრა-ბ.ბისტრიცა | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 22:15 | 451 | ტრნავა-რუჟომბეროკი | 1.75 | 3.20 | 4.35 | 1.13 | 1.24 | 1.84 |
| 20:00 | 452 | პრეშოვი-ზლატე მორავცე | 1.70 | 3.40 | 4.35 | 1.13 | 1.22 | 1.90 |
| 21:30 | 453 | ჟილინა-დუბნიცა | 1.35 | 4.30 | 8.00 | 1.02 | 1.15 | 2.79 |
| | | 28 სექტემბერი | | | | | | |
| 19:15 | 988 | სლოვანი-კოშიცე | 1.85 | 3.20 | 3.85 | 1.17 | 1.24 | 1.74 |
| | | ხორვატია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 28 სექტემბერი | | | | | | |
| 18:30 | 454 | ზაგრები-ხორვატია | 1.70 | 3.20 | 4.50 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| 18:30 | 455 | ოსიეკი-შიბენიკი | 1.70 | 3.25 | 4.50 | 1.11 | 1.23 | 1.88 |
| 18:30 | 456 | ზადარი-რიეკა | 2.55 | 3.10 | 2.55 | 1.39 | 1.27 | 1.39 |
| 18:30 | 458 | ვარტეკსი-ციბალია | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 18:30 | 459 | ჰაიდუკი-ინტერი | 1.22 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.09 | 3.43 |
| | | სლოვენია. I ლიგა | | | | | | |
| | | 27 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 806 | ნაფტა-დომჟალე | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |
| 20:00 | 807 | პუბლიკუმი-დრავა | 2.15 | 3.20 | 3.25 | 1.28 | 1.29 | 1.61 |
| 22:00 | 808 | გორიცა-კოპერი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 22:00 | 809 | მარიბორი-რუდარი | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| | | 28 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 810 | ინტერბლოკი-პრიმორიე | 1.85 | 3.40 | 4.00 | 1.19 | 1.26 | 1.83 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 27 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 491 | ტრომსო-ლილესტრომი | 1.80 | 3.50 | 4.30 | 1.18 | 1.26 | 1.92 |
| | | 28 სექტემბერი | | | | | | |
| 20:00 | 486 | ფრედრიკსტადი-სტრომსგოდსეტი | 1.70 | 3.60 | 5.00 | 1.15 | 1.26 | 2.09 |
| 20:00 | 487 | ვოლერენგა-ვიკინგი | 2.35 | 3.20 | 3.00 | 1.35 | 1.31 | 1.54 |
| 20:00 | 488 | ჰამ კამ-ბოდო გლიმტი | 2.35 | 3.30 | 2.85 | 1.37 | 1.28 | 1.52 |
| 22:00 | 489 | ალესუნდი-როსენბორგი | 4.55 | 3.40 | 1.80 | 1.94 | 1.28 | 1.17 |
| 20:00 | 490 | ბრანი-ლინი | 1.95 | 3.40 | 3.85 | 1.23 | 1.29 | 1.80 |
| | | 29 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 492 | სტაბეკი-მოლდე | 1.40 | 4.50 | 7.50 | 1.06 | 1.17 | 2.81 |
| | | ნორვეგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 27 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 493 | სოგნდალი-სანდეფიორდი | 2.50 | 3.50 | 2.60 | 1.45 | 1.27 | 1.49 |
| | | 28 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 494 | ბრინი-ნიბერგსუნდი | 1.90 | 3.50 | 3.70 | 1.23 | 1.25 | 1.79 |
| 18:00 | 495 | ჰაუგესუნდი-სტარტი | 3.20 | 3.50 | 2.00 | 1.67 | 1.23 | 1.27 |
| 18:00 | 496 | კონგსვინგერი-სარპსბორგი | 1.85 | 3.60 | 3.60 | 1.22 | 1.22 | 1.79 |
| 18:00 | 497 | მოსი-ლიოვ ჰამი | 1.85 | 3.60 | 3.60 | 1.22 | 1.22 | 1.79 |
| 18:00 | 498 | სანდნესი-ჰოდი | 1.45 | 4.35 | 5.50 | 1.08 | 1.14 | 2.42 |
| 20:00 | 499 | ნოტოდენი-ჰოინეფოსი | 1.80 | 3.60 | 3.75 | 1.20 | 1.21 | 1.83 |
| 20:00 | 500 | ოდ გრენლანდი-ალტა | 1.25 | 6.00 | 8.50 | 1.03 | 1.08 | 3.51 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 27 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 811 | ჰამარბი-ტრელებორგი | 1.90 | 3.40 | 4.00 | 1.21 | 1.28 | 1.83 |
| | | 28 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 812 | აიკ-გეფლე | 1.70 | 3.50 | 4.80 | 1.14 | 1.25 | 2.02 |
| 19:00 | 813 | გაის-ჰალმსტადი | 2.20 | 3.30 | 3.10 | 1.32 | 1.28 | 1.59 |
| 19:00 | 814 | ლიუნგსკილე-იურგორდენი | 2.95 | 3.20 | 2.20 | 1.53 | 1.26 | 1.30 |
| 20:00 | 815 | კალმარი-ელფსბორგი | 2.05 | 3.20 | 3.60 | 1.24 | 1.30 | 1.69 |
| | | 29 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 311 | სუნდსვალი-გოტებორგი | 3.30 | 3.20 | 2.20 | 1.62 | 1.32 | 1.30 |
| 21:00 | 312 | ორებრო-ნორჩოპინგი | 1.75 | 3.40 | 4.55 | 1.15 | 1.26 | 1.94 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 28 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 516 | ასირისკა-დეგერფორსი | 1.50 | 3.85 | 6.50 | 1.07 | 1.21 | 2.41 |
| 18:00 | 517 | ფალკენბერგი-ანგელჰოლმი | 2.25 | 3.20 | 2.95 | 1.32 | 1.27 | 1.53 |
| | | 29 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 313 | ენჩოპინგი-ბუნკეფლო | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 21:00 | 1080 | ქვიდინგე-ორგრიტე | 3.65 | 3.20 | 1.85 | 1.70 | 1.22 | 1.17 |
| 21:00 | 1081 | ლანდსკრონა-მიალბი | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| | | ფინეთი. ვეიკაუსლიგა | | | | | | |
| | | 27 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 524 | ტამპერე-ინტერი | 3.10 | 3.20 | 2.05 | 1.57 | 1.23 | 1.24 |
| | | 28 სექტემბერი | | | | | | |
| 17:00 | 525 | ჰონკა-კუოპიო | 1.35 | 4.10 | 10.00 | 1.01 | 1.18 | 2.90 |
| 19:30 | 526 | იარო-კტპ | 1.55 | 3.40 | 7.00 | 1.06 | 1.26 | 2.28 |
| 19:30 | 527 | მარიეჰამნი-ჰაკა | 2.50 | 3.10 | 2.80 | 1.38 | 1.32 | 1.47 |
| 19:30 | 528 | მიპა-ვაასა | 1.65 | 3.20 | 5.50 | 1.08 | 1.26 | 2.02 |
| 19:30 | 529 | როვანიემი-ჰკ | 4.50 | 3.20 | 1.80 | 1.87 | 1.28 | 1.15 |
| 19:30 | 816 | ტურკუ-ლაჰტი | 2.15 | 3.10 | 3.30 | 1.26 | 1.30 | 1.59 |
| | | ფინეთი. 2 ლიგა | | | | | | |
| | | 27 სექტემბერი | | | | | | |
| 16:00 | 531 | ჯიპო-ჰაამენლინა | 2.30 | 3.30 | 2.85 | 1.35 | 1.27 | 1.52 |
| 16:00 | 532 | კპვ კოკოლა-პკ35 | 1.95 | 3.20 | 3.65 | 1.21 | 1.27 | 1.70 |
| 17:00 | 533 | ვიკინგიტი-ოულუ | 1.85 | 3.30 | 3.90 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| | | 28 სექტემბერი | | | | | | |
| 16:00 | 534 | კაპა-კემი | 2.80 | 3.20 | 2.35 | 1.49 | 1.27 | 1.35 |
| 16:00 | 535 | ტპვ ტამპერე-იუვასკილა | 3.90 | 3.25 | 1.85 | 1.77 | 1.25 | 1.17 |
| 19:30 | 536 | ატლანტისი-ტპ47 | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 19:30 | 537 | ვიფკ ვაასა-გრანკულა | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| | | ისლანდია. პრემიერ დივიზიონი | | | | | | |
| | | 27 სექტემბერი | | | | | | |
| 20:00 | 541 | აკრანესი-ფიოლნირი | 2.05 | 3.40 | 3.00 | 1.27 | 1.21 | 1.59 |
| 20:00 | 542 | ფილკირი-ჰაფნარფიორდური | 6.50 | 4.10 | 1.40 | 2.51 | 1.15 | 1.04 |
| 20:00 | 543 | კეფლავიკი-ფრამი | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 20:00 | 544 | კოპავოგური-ბრეიდაბლიკი | 3.50 | 3.50 | 1.85 | 1.75 | 1.21 | 1.21 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მუხის ფოთლები შრიალში ჩაიკარგებიან
## ხელდახელ ჩადექი საქართველო

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები დღეს თბილისის დროით 15 საათზე პოლონეთის ქალაქ სოპოტში ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონის ფინალში ითამაშებს. ქართველები რუმინელ თანატოლებს დაუპირისპირდებიან. გამარჯვებული ჩემპიონობასთან ერთად ამ ასაკის ევროპულ ელიტაში დაიმკვიდრებს ადგილს და ასევე გაისად კენიაში გასამართ 20-წლამდელთა მსოფლიოს თასის ერთადერთ ვაკანტურ საგზურს მოიპოვებს.

ნახევარფინალში საქართველოს ნაკრებმა რუსეთის ეროვნული გუნდი იმსხვერპლა, რუმინელებმა კი პორტუგალიელებს რის ვაივაგლახით მოუგეს. როგორც ჩანს, საქართველოს ნაკრები ყველაზე შედეგიანი და ლალად მობურთავე გუნდია. ჩვენებმა ჯერ ჰოლანდიელები გაასწორეს მიწასთან — 62:7, შემდეგ რუსებს ქულა არ აალებინეს ნახევარფინალში — 37:0.

ახალგაზრდა „მუხის ფოთლებმა“ კი ფინალის გზაზე ბელგია და პორტუგალია ჩამოიცილეს. მათ ორივე თამაშში გვარიანი ბრძოლა გადაიხადეს და, ცხადია, ჩვენებთანაც დიდი ბრძოლისთვის ემზადებიან.

რუსეთთან ჩვენი რაგბობის შემხედვარე, რუმინელებს, იმედი გვაქვს, ცოტა შეეშინდათ, მაგრამ არ იმჩნევენ. პირიქით, მათი სამწვრთნელო შტაბი იმუქრება, საქართველოს ნაკრებს აუცილებლად მოვუგებთო. მუქარა ტრაბახად რომ არ ჩაუთვალონ, თავიანთი შერკინების ზემძლავრობაზეც ლაპარაკობენ...

საქართველოს ნაკრების მთავარი კოზირი კი ხელდახელ ჩაუქი თამაშია. ამან წინა ორივე შეხვედრაში გაამართლა და ფინალშიც გაამართლებსო — გვითხრა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დავით ჩაველეიშვილმა. სამწუხაროდ, რუსეთთან მატჩში რამდენიმე მორაგბე მძიმედ დაგვიშავდა. უკვე ცნობილია, რომ ფინალში არ იქნება გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ვიქტორ კოლელიშვილი. სათუოა ერეკლე მეტრეველის თამაშიც, ასევე ტრავმა ჰქონდა ვახტანგ კავთიძესაც.

ჩვენი ნაკრების ფინალური სამზადისის შესახებ გუნდის მენეჯერ ოთარ იაშვილს ვკითხეთ...

**— როგორ ემზადება გუნდი ფინალისთვის?**

— განსაკუთრებული ვარჯიშები არ გვაქვს. ჩვეულებრივად ვემზადებით. მაგრამ, რაც მთავარია, გუნდში ამაღლებული განწყობაა, თითქმის ისეთივე, როგორიც რუსებთან თამაშის წინ გვქონდა. ბიჭები ჯანზე არიან და მოუთმენლად ელიან ფინალს. სამწუხაროდ, არ გვეყოლება კოლელიშვილი. მგონი, მეტრეველიც ვერ ითამაშებს. კავთიძემ კი დღეს მითხრა, რომ თუ ტრავმა ვარჯიშზე სირბილში ხელს არ შეუშლიდა, მაშინ რუმინეთთანაც შეძლებდა გამოსვლას.

**— მოწინააღმდეგის ბანაკიდან რა ინფორმაცია გამოდის?**

— ისინი მხოლოდ ერთ მორაგბეს მოისაკლისებენ. ტრადიციულად აქცენტს შერკინებაზე გააკეთებენ და აუტებშიც შეეცდებიან უპირატესობის მოპოვებას. მათი რამდენიმე მხტომელი სიმაღლეში ორ მეტრს აღემატება და ამ უპირატესობისაც ეიმედებათ.

**— ჩაველეიშვილი რაზე გააკეთებს აქცენტს?**

— რა თქმა უნდა, კომბინაციურ თამაშზე და ბურთის კონტროლზე ამას დაუმატეთ ჩვენი ბიჭების საბრძოლო ჟინი და, ვფიქრობ, ეს ყველაფერი გამარჯვებამდე მიგვიყვანს.

**ზურაბ მიგრიაული**

# მაგარი შავების ისტორია
## კარტერმა კატალონია არჩია, კელეჰერმა პორნოვარსკვლავი

კატალონიურ სარაგბო კლუბ UIAP პერპინიანსა და გია ლაბაძის „ტულონს“ შორის კარგა ხანს მიმდინარეობდა ბრძოლა დღესდღეისობით მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო (თუ საუკეთესო არა), პივოტის (10 ნომრის), ახალზელანდიელი დენ კარტერის დაბევებისთვის.

საკითხი მარტივად გადაიჭრა — კარტერმა თავად ირჩია კატალონია და მიზეზად ის დაასახელა, რომ ტულონში ბევრი თანამემამულე მყავს, მე კი საფრანგეთში ახალი გარემოს და ახალი სათამაშო გამოცდილების გამო ჩავდივარო.

მიზეზი მთლად არ უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს, სავარაუდოდ „პერპინიანის“ კონტრაქტი უფრო სარფიანი იყო. გარდა ამისა, „ტულონი“ თუმცა ვარსკვლავური გუნდია, მაგრამ ელიტარულ ლიგაში ახალი დაბრუნებულია, ხოლო კარტერის ახალი გუნდი „ჰაინეკენის თასზე“ რაგბობს და ამჟამად საფრანგეთის ჩემპიონატში მეორე ადგილზეა. ასე რომ, კატალონია უფრო შესაფერი ადგილია კარტერის ამბიციებისთვის. გუნდის უფროსობაც მასზე გვარიან იმედებს ამყარებს და ფიქრობს რომ დიდი ხნის ოცნებას, საფრანგეთის ჩემპიონატის მთავარი პრიზის „ბრენის ფარის“ ხელში ჩაგდებას, კარტერთან ერთად ბოლო ბოლო, ცამეტი წლის შემდეგ მაინც მოახერხებს. „პერპინიანი“, მიუხედავად მუდმივი ფავორიტობისა, ბოლოს 1995 წელს გახდა საფრანგეთის ჩემპიონი.

დენი კარტერმა კარგად იცის მასზე გაცემული ავანსების მნიშვნელობა და თავის პირველივე ინტერვიუში თქვა: მწვრთნელებმა და ჩემმა ახალმა თანაგუნდელებმა მშვენივრად იციან რომ ერთი კაცი თამაშს და მითუმეტეს მთელ ტურნირს ვერ მოიგებს. მე ნამდვილად არ ვარ დიეგო მარადონა და ამიტომ დასახული მიზნის მისაღწევად მთელმა გუნდმა ძალების დაუზოგავად უნდა ვიმუშაოთო.

ახალზელანდიურ რაგბის 26 წლის ვარსკვლავი ექვსი თვით ჩამოშორდა. დენი „ოლ ბლექსს“ ზაფხულში დაუბრუნდება და სამი ერის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას. მის გარეშე ჩაივლის ზე14-ის პირველობა, სადაც ის „კრუზეიდერსის“ შემადგენლობაში შვიდი წელი თამაშობდა და 69 მატჩში 25 ლელოს დამდებს, ხუთი არეკნის გამტან და მრავალი ჯარიმა-გარდაასახვის შემგდებს 992 ქულა გაუკეთებია. არანაკლებ შთამბეჭდავია კარტერის სანაკრებო მონაგარი — 54 კეპი, 25 ლელო, ორი არეკნი, 132 ჯარიმა, 128 გარდასახვა. მთლიანობაში 823 ქულა. გარდა ამისა, დენი 2005 წლის საუკეთესო მორაგბედ იქნა მიჩნეული და მას წელსაც აქვს შანსი იგივე გაიმეოროს — სპეციალისტთა აზრით ახალზელანდიელი პივოტს დასახელებულ ხუთ ნომინანტს შორის მსოფლიოს საუკეთესოობის გამოკვეთილი ფავორიტია. კარტერი კატალონიურ მაისურას პირველად 6 დეკემბერს მოირგებს და „ჰაინეკენის თასზე“ ინგლისურ „ლესტერ ტაიგერსს“ დაუპირისპირდება.

ფრანგული საკლუბო რაგბიში კიდევ ერთი ახალზელანდიური სიახლეა — გასული სეზონის საუკეთესო მორაგბედ „ოლ ბლექსის“ გამთამაშებელი, 32 წლის ბაირონ კელეჰერი დასახელდა. კელეჰერმა გასულ წელს „ტულუზის“ შემადგენლობიდან ამოაგდო საფრანგეთის ნაკრების შერკინების ნახევარმცველი —ჟან-ბატის ელისალდი, ხოლო წლის საუკეთესოობისთვის რბოლაში, არგენტინელი ხუან ერნანდესი — 2007 წლის მსოფლიო თასის გათამაშების აღმოჩენა და ვარსკვლავი — მცირედი სხვაობით, მაგრამ მაინც ჩამოიტოვა. კელეჰერიც, 57 კეპით, დენი კარტერის მსგავსად ღვაწლმოსილი „შავია“. წლების მანძილზე ზე-12 ის ერთერთი გამორჩეული ვარსკვლავიც გახლდათ და 1999 წლის საუკეთესოც. თუმცა ამგვარი დამსახურების კაცს, არც თუ ისე ახალგაზრდულ ასაკში, სამი წლის წინ ფრიად სახიოთირო რამ შემთხვევია, რასაც ფრანგული მედია დღემდე არ ივიწყებს — ნამეტნავად შეყვარებია ქეილენი ლეი. რომანმა ერთიოდ წელი გასტანა — ამის მიზეზი კი ალბათ ის იყო რომ, ლამაზმანი მთელი საფრანგეთისთვის ცნობილი პორნოვარსკვლავი გახლდათ.




**ირაკლი ნინიძე**

ძიუდო

# ქართველების ლატვიური ოქროს ქულა

## ვითომ რა იყო აქ დასამალი?!


შოთა ხაბარელი

სამი დღის წინ საქართველოს ძიუდოს ფედერაციაში გვითხრეს, რომ ნოლიმპიალევი საქართველოს ნაკრები ბორჯომში იყო შეკრებაზე და 5 ოქტომბერს, ტოკიოში დასაწყებ მსოფლიოს გუნდური თასისთვის ემზადებოდა. ერთხელაც გავიმეორებთ: ეს ინფორმაცია 24 სექტემბრის „სარბიელში" გვქონდა, ანუ წინა დღით, 23 სექტემბერს ძიუდოს ფედერაციისგან მიღებული ინფორმაცია იყო.

გუშინ კი ლატვიური გაზეთების გვერდები აჭრელებული იყო ჩვენი ნაკრების პირველი ნომრების ფოტოებით... ლატვიაში, რიგაში, უკვე მესამედ ჩატარდა ერთდღიანი კომერციული ტურნირი, რომელსაც ზოგი „ოქროს საათს", ზოგი „ოქროს დროს" უწოდებს. მაგრამ ინგლისურად GOLDEN SCORE იწერება და, ალბათ, მართებული იქნება, ამ ტურნირს „ოქროს ქულა" ვუწოდოთ, რადგან ბრძოლები პირველივე ილეთზე, ანუ პირველივე ქულაზე წყდება.

თუმც ოდნავ გადავერთვეთ და ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვან ამბავს დავუბრუნდეთ.

ლატვიური გაზეთების ცნობით, 24-25 სექტემბერს, რიგაში „ოქროს ქულის" უკვე ტრადიციული ტურნირი ჩატარდა და ძიუდოს სხვა ვარსკვლავებთან ერთად ქართველმა ოლიმპიურმა და მსოფლიოს ჩემპიონებმაც იჭიდავეს, ანუ, როდესაც ვიცოდით, რომ ჩვენი ნაკრები ბორჯომში იყო შეკრებაზე და რიგის ტურნირი არც კი ხსენებულა, თურმე ჩვენები ლატვიაში ჭიდაობდნენ.

ლატვიური გაზეთები ვარსკვლავებად იხსენიებენ ირაკლი ცირეკიძეს, ზაზა კედელაშვილს, ლაშა გუჯეჯიანს, ვარლამ ლიპარტელიანს... ვებ-გვერდი CHAS-DAILY კი წერს, რომ ტურნირმა ქართული აქცენტით ჩაიარა, რაკი ცირეკიძემ და კედელაშვილმა მეტოქეებს მასტერ კლასი ჩაუტარეს და ტურნირი ულამაზესი ილეთებით მორთეს.

გუშინვე დავუკავშირდით საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ **შოთა ხაბარელს** და ამ „მოულოდნელ" ტურნირზე ვკითხეთ...

— რიგაში ეს ტურნირი უკვე მესამედ თუ მეოთხედ ჩატარდა. ტურნირი ერთდღიანი და კომერციულია. ბორჯომში ვიყავით შეკრებაზე, როდესაც მოწვევა მივიღეთ და წავედით. საქართველოში მეორე დღესვე ჩამოვედით და ისევ შეკრებაზე ვართ.

— ეს ტურნირი ტოკიოს მსოფლიოს თასისთვის მოსამზადებელ გრაფიკში ჯდებოდა?

— გათვალისწინებული არ გვქონდა, მაგრამ კარგი ტურნირია და უარი არ გვითქვამს. თან სწრაფად მთავრდება. ბრძოლები პირველ ქულამდეა და შეიძლება, პირველივე წამებზე დასრულდეს. ანუ ბიჭებს განსაკუთრებული დატვირთვა არ მიუღიათ, პირიქით, პრაქტიკისთვის გამოადგათ.

— ამ ტურნირმა გეგმები ხომ არ აგირიათ?

— არა, არანაირად...

— რიგაში წასვლა საქართველოს ძიუდოს ფედერაციასთან შეთანხმებული იყო?

— დიახ, რა თქმა უნდა... რიგაში ჩვენმა პირველმა ნომრებმა — ირაკლი ცირეკიძემ, ზაზა კედელაშვილმა, ლაშა გუჯეჯიანმა იჭიდავეს...

— და ერთიც, როგორც გავიგეთ, ნაკრებიდან გიორგი ბაინდურაშვილი წასულა...

— არა, ეს სიმართლე არ არის.

— ბაინდურაშვილი ახლა შეკრებაზეა?

— არა, მაგრამ იგი არავის გაუშვია გუნდიდან. მას ახლა ტრავმა აქვს და მერე შემოგვიერთდება...

შოთა ხაბარელთან საუბარს აქ მოვრჩით და კვლავ ძიუდოს ფედერაციაში დავრეკეთ. იქ კი გვითხრეს, რომ რიგის ტურნირს უმნიშვნელო შეჯიბრად მიიჩნევდნენ და ამიტომ არ ჩათვალეს საჭიროდ ამის თქმა.

ჩვენ კი მაინც ვიტყვით — მნიშვნელოვანია თუ უმნიშვნელო, ჟურნალისტს ნაკრების მზადების და ტურნირზე მონაწილეობის ერთი დეტალიც არ უნდა დაუმალო. ბოლოს და ბოლოს, უნდა გაითვალისწინო, რომ ინტერნეტის ხანაში გაუგებარი არაფერი დარჩება.

ამ ტურნირის აფიშირება არ იყო საჭირო? თუ რაიმე ჩუმად იყო გასაკეთებელი, ამას 21-ე საუკუნეში ვერ გააკეთებ. ბოლოს და ბოლოს, ეს ტურნირი ლატვიურმა, უკრაინულმა და რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა ისე გააფეტიშეს, რომ მასალას მასალაზე დებდნენ ვებგვერდებზე.

**ბაჩო სვანიძე**


ირაკლი ცირეკიძის და ჯარჯი ზვიადაურის ბრძოლა რიგის ტურნირზე

ძიუდო


ზვიად ხანჯალიაშვილი

# ქართველები ჰოლანდიურ სუპერთასზე

**საქართველოს** ძიუდოისტთა ნაკრები როტერდამის სუპერთასზე შესუსტებული შემადგენლობით გაემგზავრა. ტურნირი შაბათ-კვირას გაიმართება და მასში საქართველოს ნაკრები მეორე და მესამე ნომრებით იქნება წარდგენილი. ჰოლანდიურ ტატამზე ხუთი ქართველი ფალავანი გამოვა და ისინი სამ წონით კატეგორიაში არიან გადანაწილებული.

81 კილოგრამ წონით კატეგორიაში გრიგოლ შინჯიკაშვილი და ლევან წიკლაური იჭიდავებენ, 100 კგ-ში — ლევან რაზმაძე, ხოლო მძიმე წონაში — ადამ ოქრუაშვილი და ზვიად ხანჯალიაშვილი.

ხუთივე ქართველი ძიუდოისტი კვირას იჭიდავებს. ჰოლანდიაში ნაკრებს მწვრთნელად ჯემალ ნათელაშვილი გაყვა.

**ზურაბ მიგრიაული**

სუმო

# ორიდან ერთი შანსი

**ტოკიოს** სექტემბრის ბაშოზე ორივე ქართველმა სუმოისტმა ისევ წააგო. ლევან ცაგურიას (კოკაი) ამჯერად დასავლეთის მეთექვსმეტე მაეგაშირა კაკაძოესმა აჯობა, ქამრის გამოყენებით განდევნა დოჰიოდან. ამჟამად ქართველ სუმოისტს 7 მოგება და 6 წაგება აქვს.

ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი) ვერაფერი მოუხერხა დასავლეთის მეათე მაეგაშირა ფუტენოს და ბრძოლა წააგო. ამის შემდეგ გორგაძესაც 7 მოგება და 6 წაგება აქვს.

ახლა ტურნირის დადებითი ბალანსით დასრულებისთვის ქართველ სუმოისტებს კვლავ თითო მოგება სჭირდებათ.

ამისთვის ცაგურიასა და გორგაძეს ორი შეხვედრა რჩებათ ჩასატარებელი. შესაბამისად, სასურველი შედეგის მისაღწევად მათ ორი შანსიდან ერთი გამარჯვება სჭირდებათ.

დადებითი ბალანსისკენ მიმავალ გზაზე კოკაის მომდევნო მეტოქე აღმოსავლეთის მეთერთმეტე მაეგაშირა იოშიკაძე იქნება. ამ სპორტსმენს 6 გამარჯვება და 7 წაგება აქვს. იგი 26 წლისაა, მისი სიმაღლე 178 სმ-ია, წონა კი — 138 კგ. თუ ოძეკის მონაცემებს გავითვალისწინებთ, ჩვენებურს მოგება არ უნდა გაუჭირდეს.

ტოჩინოშინი შეერკინება აღმოსავლეთის მეცამეტე მაეგაშირა ჩიოჰალუჰოს, რომელსაც უკვე განადებული აქვს უარყოფითი ბალანსი, რადგან მას ანგარიშზე მხოლოდ 5 მოგება და 8 წაგებაა. 25 წლის იაპონელი 180 სმ-ია. არც წონით არის გამორჩეული — 136 კილოგრამი და ნამდვილად არ აქვს კარგი შედეგები. სუმოს ჭიდაობა ჯერ კიდევ 1999 წელს დაიწყო, მაკუუჩი დივიზიონში კი მხოლოდ 2008 წელს აღწია.

სულ ბოლოს ტურნირის ლიდერების მდგომარეობასაც გაცნობებთ. შეჯიბრების მთავარი ფავორიტი მონღოლი იოკოძუნა ჰაკუჰო კვლავ საუკეთესო მაჩვენებლით მიიწევს წინ. ის ერთადერთია ტოკიოს ბაშოზე, რომელსაც მხოლოდ ერთი წაგება აქვს 12 მოგების წილ. გუშინ მან ვეტერანი ოძეკი, იაპონელი კაიო დაამარცხა.

იოკოძუნას კუდში უდგანან აღმოსავლეთის ოძეკი კოტომიცუკი და სეკივაკე ამა. პირველმა დასავლეთის სეკივაძეს, ტოიონოშიმს სძლია, მეორემ კი აღმოსავლეთის პირველ გაეგეშირას კოტოშოგიკუს აჯობა. ორივე ზემოთ ნახსენებ სპორტსმენს 11 მოგება და 2 მარცხი აქვს.

**გიორგი არაბული**


ტოჩინოშინი

პარაოლიმპიზმი

# სირცხვილია: პირველი ქართველი პარაოლიმპიელი თბილისის აეროპორტში დაბეგრეს!

**წელს** პეკინში ზაფხულის 29-ე ოლიმპიადის დასრულების შემდეგ კიდევ ერთი ოლიმპიადა გაიმართა — უნარშეზღუდული ადამიანების თამაშები, პარაოლიმპიადა. მასში პირველად მიიღო მონაწილეობა ქართველმა სპორტსმენმა. იაგო გორგოძე პირველი ქართველი პარაოლიმპიელია, რომელმაც წოლჭიმში (შტანგის დაწოლილი მდგომარეობაში აწევაში) მერვე ადგილი დაიკავა. იქამდე კი იყო ვარჯიშისა და მზადების საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი, რაც საბოლოოდ ლიცენზიის მოპოვებით დაგვირგვინდა.

ეს შეჯიბრება 6-17 სექტემბერს გაიმართა და მას იგივე სპორტული კომპლექსები უმასპინძლა, რომელმაც ზაფხულის ოლიმპიადის თამაშების დასრულების შემდეგ ქართული დელეგაცია სამშობლოში დაბრუნდა. გუშინ კი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტში ამ თემისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია გაიმართა, რომელშიც სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური, საქართველოს პარაოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე დავით მაისურაძე, კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი გიორგი წასიძე და, რაც თქმა უნდა, თავად პირველი ქართველი პარაოლიმპიელი იაგო გორგოძე მონაწილეობდნენ.

**დავით მაისურაძე:**

— პეკინის ზაფხულის ოლიმპიადის დასრულებიდან სულ მალე იგივე ქალაქში, იგივე ბაზებზე გაიმართა პარაოლიმპიადა, რომეშიც 150 ქვეყნის სპორტსმენი მონაწილეობდნენ. ასეთი მასშტაბური ღონისძიება თუ იქნებოდა, ვერც კი წარმოვიდგენდით. საქართველოს მხოლოდ ერთი სპორტსმენი, იაგო გორგოძე წარმოადგენდა. მან წოლჭიმში იასპარეზა 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში.

ჩვენს კომიტეტში ძალიან ბევრი რამ შეიცვალა გიორგი წასიძის მოსვლის შემდეგ. ამ ახალგაზრდა ბიჭმა გამოაცოცხლა მუშაობა და, რაც მთავარია, მოხერხდა ლიცენზიის მოპოვება. მართალია, ამჯერად მხოლოდ ერთის, მაგრამ უახლოეს პერიოდში კიდევ უფრო მეტს გავაკეთებთ.

ეს პირველი გამოსვლა იყო მსგავს ღონისძიებაზე და გარკვეულწილად გამოუცდელობამაც დაგვაზარალა. მომავალში ყველაფერი გამოსწორდება. უკვე მომავალი ოლიმპიადისთვის ვიწყებთ მზადებას.

მინდა, მადლობა გადავუხადო, საქართველოს სპორტის დეპარტამენტს, რომელიც მაქსიმალურად დაგვიდგა გვერდში.

**გიორგი წასიძე:**

— მხოლოდ პეკინში ჩასვლის შემდეგ მივხვდით, რეალურად რამხელა საქმე გაკეთდა ამ ლიცენზიის მოპოვებით. ეს იყო უდიდესი სპორტული ფორუმი და, რაც მთავარია, მასში ჩვენც, ქართველებიც, ვმონაწილეობდით.

თუმცა თამაშების დასრულების შემდეგ ერთი ეტაპი დასრულდა. ახლა უკვე მომავალი, ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადისთვის ვიწყებთ მზადებას. ვიწყებთ სპორტსმენების მოძებნას. საჭიროა უფრო მეტი კადრები, რათა მომავალ პარაოლიპიადაზე კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი დელეგაცია შედგეს. სურვილი გვაქვს, რომ რომელიმე გუნდურ სახეობაშიც მივაღწიოთ წარმატებებს, თუმც იქამდე ბევრი სამუშაოა.

სულ ბოლოს არ შემიძლია, არ აღვნიშნო ის, რაც ჩვენს ქვეყანაში უფრო კონკრეტულად კი აეროპორტში ხდება. წარმოიდგინეთ, ესაა ინვალიდის მომსახურებისთვის დამატებითი ხარჯებია გადასახდელი. ასეთი რამ არსად არ ხდება. ასე ცხოვრობენ ცივილურ ქვეყნებში, ჩვენთან კი ელემენტარული პირობებიც არაა შექმნილი უნარშეზღუდული ადამიანებისთვის. ეს ძალიან სამწუხარო და გულდასაწყვეტია.

**იაგო გორგოძე:**

— ჩემთვის ძალიან ძნელია დღეს ამ ყველაფერზე ლაპარაკი. პირველ რიგში მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც დახმარება გამიწია. ეს ადამიანები რომ არ ყოფილიყვნენ, არაფერი არ გამოვიდოდა. პირველ რიგში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტი და მისი თავმჯდომარე უნდა დავასახელო. მათ მომცეს საშუალება, მონაწილეობა მიმეღო ყველაზე დიდ სპორტულ ფორუმში.

ახლა ყველაფერს გავაკეთებ, რათა მომავალ 2012 წლის ოლიმპიადაზეც მოვხვდე და იქ უკვე მედლისთვის ვიბრძოლებ.

**დავით ნამგალაური:**

— ჩვენ ეს საქმე რამდენიმე დღის და თვის წინ არ დაგვიწყია, თუმცა არც ძალიან დიდი ხანია, რაც ამ ყველაფერს ჩაეყარა საფუძველი. გვინდოდა, უფრო მეტი წარმომადგენელი გვყოლოდა, მაგრამ არ გამოვიდა. თუმცა კიდევ უფრო მეტის გაკეთება გვაქვს გეგმაში.

იაგოს აქვს ყველანაირი საშუალება, მომავალში კიდევ უფრო მოუმატოს. მას დიდ წარმატებას ვუსურვებ. ახლა უკვე საკმარისი დრო გვაქვს უკეთესად მოსამზადებლად. სპორტის დეპარტამენტი მას ყველანაირად ამოუდგება გვერდში.



გიორგი ჭანიშვილის ფოტო

**გიორგი არაგული**

ჩოგბურთი

# გრანადას ქართული დუეტი

**ქართველმა** პირველმა ჩოგანმა მაკა ჩახნაშვილმა იტალიის ქალაქ ლეჩეში დაწყებულ საჩოგბურთო ტურნირზე პირველი გამარჯვება მოიპოვა.

მაკამ, ვინც ტურნირზე მე-4 ნომრად არის განთესილი ფრანგ კინი ლაინესთან იოლად, 6:2 6:4 იმარჯვა. მერვედფინალში ქართველის პირისპირ გერმანელი დომინის რიპოლი დადგება.

ლეჩეს საჩოგბურთო ტურნირის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია.

პირინეიდან აპენინებზე გადავინაცვლოთ და გრანადაში მიმდინარე საჩოგბურთო ამბები ვთქვათ.

ეკატერინე გორგოძე მერვედფინალში დაძაბულ პაექრობაში დამარცხდა მასპინძელ მაიტე გაბარუსალონსოსთან — 7:6 3:6 0:6. სოფო ქაცაძაიამ კი თავისი შეხვედრა მე-6 ნომრად განთესილ ჩეხ ანდრეა ჰლავჩკოვასთან დათმო 3:6 0:6.




ჩვენები ერთმანეთის მხარდამხარ წყვილებშიც ცდილნენ ძალებს და მეოთხედფინალში გერმანელი ოზგასა და თურქი ოზგენის დუეტი დაჩაგრეს 6:3 6:3.

ნახევარფინალში ქართული წყვილი ესპანელებს კოსტას-მორეირასა და მახასუ-ალონსოს — ალონსოს დაუპირისპირდება.

გრანადის საჩოგბურთო ტურნირის საპრიზო ფონდიც 25 ათასი დოლარია.

**ნიკა ძოპაძე**

ჭადრაკი

# ბოლო ტურის წინ

**გუშინ** საქართველოს ოლიმპიური ნაკრების ორი ვაკანტური ადგილისთვის მიმდინარე ტურნირზე ბოლო ტური გაიმართა. ბოლო ტურამდე სოფო ხუხაშვილი კი ლიდერობდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ სოფომ სალომე მელიასთან წააგო, ხოლო მაია ლომინეიშვილმა სოფო გვეტაძეს სძლია და საბოლოო ჯამში სამ მოჭადრაკეს — ხუხაშვილს, ლომინეიშვილს და მელიას თანაბარი, 4,5-4,5 ქულა დაუგროვდათ.

დამატებითი მაჩვენებლით საუკეთესო მაია ლომინეიშვილი გახდა, რითაც მან საქართველოს ოლიმპიურ ნაკრებში ადგილი დაიბევა, მეორე ადგილისთვის კი სალომე მელია და სოფო ხუხაშვილი შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

დღეს მელია და ხუხაშვილი ორმატჩიან ტაი-ბრეიკს გაითამაშებენ. პარტია 15-წუთიანია, სვლაზე 10 წამის დამატებით. თუ ტაი-ბრეიკიც ყაიმით დასრულდა, კიდევ ერთი, ბლიც-მატჩი ჩატარდება.

2008 წლის 15 ოქტომბერს, 12 საათზე, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ტარდება საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა. დელეგატთა რეგისტრაცია დაიწყება 11 საათზე. პრეზიდენტობის კანდიდატთა განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2008 წლის 10 ოქტომბერი.

საქართველო კალათბურთის ფედერაცია აცხადებს მიღებას მსაჯთა მომზადების კურსებზე.
მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ მისამართზე:
ჭავჭავაძის გამზირი 49ა. ტელეფონი: 91 33 54

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

# ღამეა, ბნელა, მივდივარ ნელა...

**მიუხედავად** სათაურში გამოტანილი სიტყვებისა და აგრეთვე იმისა, რომ ხვალ სინგაპურის ქუჩები პირველი ფორმულის ისტორიაში პირველ ღამის რბოლას უმასპინძლებენ, ძნელი წარმოსადგენია, რომ „სამეფო მრბოლებმა" ნელა იარონ. დიახ, ღამე იქნება, ხელოვნური განათება, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ სეზონის ფინიშამდე ოთხად-ოთხი ეტაპიღაა დარჩენილი და როგორც პირადი, ისე გუნდური პირველობის სატურნირო ცხრილში არნახულად დაძაბული სიტუაციაა.

მაშ, ასე — სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, ქალაქ-მარგალიტი სინგაპური და მისი ქუჩები, ხელოვნური განათება და არნახული აჟიოტაჟი, რომელიც ისტორიაში პირველ ღამის რბოლას წინ უძღვის. ფორმულა 1-ის ფაქტობრივმა და ყოვლისშემძლე მეპატრონემ ბერნი ეკლსტოუნმა ბოლოს და ბოლოს აიხდინა ოდინდელი ოცნება, რომელსაც ღამის რბოლა ჰქვია და როგორც ჩანს, ბერნი ამაზე გაჩერებას არ აპირებს — სავარაუდოდ, გაისად ავსტრალიური ეტაპიც ხელოვნური განათების ქვეშ ჩატარდება. ეს ყველაფერი ბევრი რამით არის მომგებიანი — სინგაპურში ბილეთი არ დარჩა გაუყიდავი და პირველი ფორმულის სალარო გვარიანად შეივსება; არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ „სამეფო რბოლების" მთავარი მაყურებლები, ჯერჯერობით კვლავაც ევროპელები არიან და იმის ფონზე, რომ კარგა ხანია შეიმჩნევა ევროპული ეტაპების შემცირების ტენდენცია, ძველი კონტინენტის მცხოვრებთ სხვა მიწებზე გამართული რბოლების ხილვის საშუალება არა დილაუთენია, არამედ მათთვის მიღებულ დღის საათებში ექნებათ.

სინგაპური პირველად მასპინძლობს პირველ ფორმულას და იქაური რბოლის რეკორდების ათვლა ახლაღა დაიწყება. ტრასა საკმაოდ მიხვეულ-მოხვეულია და მიუხედავად იმისა, რომ სინგაპურის ქუჩები საკმაოდ განიერია და გასწრების საშუალებას იძლევა, ღამის ფაქტორისა და იმის გათვალისწინებით, რომ მრბოლები ამ ქუჩებს კარგად არ იცნობენ, გასწრება ალბათ, მაინც საკმაოდ ძნელი იქნება. ამ ფონზე კი უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭება კვალიფიკაციას და ამინდს. ბოლო, იტალიური ეტაპის მსვლელობა თავისუფალი პრაქტიკიდან დაწყებული, კვალიფიკაციით გაგრძელებული და რბოლით დასრულებული, კოკისპირულმა წვიმამ გვარიანად არია, ისე, რომ ფავორიტებმა, ჰემილტონმა და რაიკონენმა კვალიფიკაციის მესამე წრეშიც კი ვერ გააღწიეს და რბოლა, შესაბამისად მე-15 და მე-14 პოზიციებიდან დაიწყეს. მიუხედავად ამისა, ჰემილტონმა მონცას ავტოდრომზე დიდებულად იარა, მაგრამ მეშვიდე ადგილზე მაღლა ვერ ავიდა, ხოლო რაიკონენი თავისი უსწრაფესი წრით, სულაც უქულოდ დარჩა და ფაქტობრივად გამოეთიშა საჩემპიონო ბრძოლას.

სეზონის ბოლომდე ოთხი ეტაპია დარჩენილი, თანაც ოთხივე ევროპის გარეთ — სინგაპურში, იაპონიაში, ჩინეთსა და ბრაზილიაში. ჩემპიონობისთვის მებრძოლებს, ჰემილტონსა და ფელიპე მასას შორის სხვაობა კი ოდენ ერთი ქულაა. 5 ქულამდე დავიდა განსხვავება გუნდური ჩათვლის მოწინავე „ფერარისა" და მეორე ადგილზე მყოფ „მაკლარენ-მერსედესს" შორის. მოკლედ რომ ვთქვათ, მთელი ომი ჯერ კიდევ წინ არის. ევროპულმა ეტაპებმა მთავარ კითხვებს პასუხი ვერ გასცეს და პირიქით, არნახულად დახლართეს ინტრიგა. კვანძის გახსნა ახლა დაიწყება და პირველ კითხვებზე პასუხს ღამის სინგაპურში მივიღებთ.

Formula 1

მეოთხემეტე ეტაპი — სინგაპურის დიდი პრიზი

## სინგაპურის ქუჩები

სინგაპური 28 სექტემბერი



**ტრასის სიგრძე** ---------------------------------- **5.067 კმ**

**რბოლის დისტანცია** ------------------------ **61 წრე — 309.087 კმ**

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 14-00 საათზე*

**ტარდება პირველად**



# პეკინის სუპერ-ოთხეული

**კაცები**

ბანგკოკი. ჰარდი. საპრიზო 576 000 $

**მეოთხედფინალი**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი** (1, სერბეთი) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 6:4 7:5; **თომაშ ბერდიხი** (3, ჩეხეთი) — ნიკოლა მაჰუ (საფრანგეთი) 7:6; **გაელ მონფილსი** (4, საფრანგეთი) — ფილიპ პეშნერი (გერმანია) 7:6 6:4; **ჟო-ვილფრიდ ცონგა** (2, საფრანგეთი) — იურგენ მელცერი (8, ავსტრია) 6:3 6:2

**კაცები**

პეკინი. ჰარდი. საპრიზო 534 000 $

**მეოთხედფინალი**

**დუდი სელა** (ისრაელი) — ტომი რობრედო (6, ესპანეთი) 6:4 6:1; **რაინერ შუტლერი** (7, გერმანია) — რიშარ გასკე (4, საფრანგეთი) 4:6 6:3 6:4; **ბიორნ ფო** (გერმანია) — ფერნანდო გონსალესი (3, ჩილე) 6:3 4:6 6:3; **ენდი როდიკი** (2, აშშ) — ხუან-კარლოს ფერერო (ესპანეთი) 2:6 6:3 6:4

**ქალები**

პეკინი. ჰარდი. საპრიზო 600 000 $

**მეოთხედფინალი**

**ელენა იანკოვიჩი** (1, სერბეთი) — დანიელა ჰანტუხოვა (7, სლოვაკეთი) 7:5 6:1; **ვერა ზვონარიოვა** (5, რუსეთი) — ანაბელ მედინა-გარიგესი (ესპანეთი) 6:0 6:1; **სვეტლანა კუზნეცოვა** (4, რუსეთი) — დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) 6:2 6:4; **ძი ძენგი** (ჩინეთი) — ანა ივანოვიჩი (2, სერბეთი) — 7:6 2:6 6:4

**ქალები**

სეული. ჰარდი. საპრიზო 145 000 $

**მეოთხედფინალი**

**მარია კირილენკო** (1, რუსეთი) — პაულინ პარმენტიე (5, საფრანგეთი) 6:3 6:2; **კაია კანეპი** (3, ესტონეთი) — იანინა ვიკმაიერი (ბელგია) 6:1 6:4; **სამანტა სტოსური** (ავსტრალია) — ეკატერინა მაკაროვა (რუსეთი) 6:3 6:4; **ჯილ კრეიბასი** (აშშ) — შაჰარ პირი (2, ისრაელი) 6:2 7:5

ძალიან უცნაური და ჩოგბურთისთვის საკმაოდ უცნაური რამ მოხდა ბანგკოკში — ნახევარფინალებში ტურნირის ოთხი უძლიერესი ჩოგბურთელი ითამაშებს. დიახ, ფინალის საგზურისთვის პირველ ოთხ ნომრად განთესილი ოთხეული იბრძოლებს.

ახლა კი მათ განვლილ გზას გადავხედოთ, თუმც სალაპარაკო აქ ბევრიც არაფერია, რადგანაც ყველამ საკმაოდ დამაჯერებლად იმარჯვა და არც ერთს დასჭირვებია სამი სეტი.

პირველ ნომერ ნოვაკ ჯოკოვიჩს კარგა ხანს კი გაუძალიანდა რობინ სოდერლინგი, მაგრამ სერბის კლასმა მაინც თავისი გაიტანა. შვედმა ორივე სეტში იომა, თუმც ნოვაკმა ორჯერვე თითო ბრეიკი გააკეთა და ეს სრულებით იმყოფინა გასამარჯვებლად.

ნახევარფინალში ჯოკოვიჩი ტომაშ ბერდიხს შეხვდება, რომელიც თავის მხრივ ნიკოლა მაჰუს გაუმკლავდა. ჩეხისთვის ამ მოგებას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც წლეულს არცთუ დამაჯერებლად გამოიყურება და ახლა მისთვის ყველა მოგებას ოქროს ფასი აქვს — მან ხომ სეზონი ტოპათეულში დაიწყო, ახლა კი 29-ე საფეხურზე იმყოფება.

მეორე ნახევარფინალი წმინდად ფრანგული იქნება, სადაც ერთმანეთს ერთნაირი სტილის ჩოგბურთელები — კორტზე სწრაფად მოძრავი და ძალისმიერი თამაშის მოტრფიალე ჟო-ვილფრედ ცონგა და გაელ მონფილსი შეეტაკებიან. გუშინ უფრო ადვილად პირველმა იხეირა, მაშინ როცა მონფილსს თითქმის ორი საათი დასჭირდა ფილიპ პეშნერის წასაქცევად.



ელენა იანკოვიჩი

პეკინში კი პირიქით, ფავორიტთა გვემის დღე იყო. წააგეს იმ მეჩოგნეებმა, ვინც წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოხვედრის იმედი ჯერაც არ დაუკარგავთ და შესაბამისად მოგება ჰაერივით ესაჭიროებოდათ. თუმც თითქოს ყველამ ერთად პირი შეკრესო და კლასით უფრო დაბალ მეტოქეებთან ფარხმალი ერთდროულად დაყარეს.

ზედიზედ მეორე ბობოლა ესპანელს ახადა სკალპი დუდი სელამ — ამ ებრაელმა წინა წრეში ტურნირის პირველ ნომერ დავიდ ფერერის გაცამტვერება არ იმყოფინა და გუშინ მის გზას ტომი რობრედოც გაუყოლა. სელამ ისევ მხოლოდ ხუთი გეიმი დათმო და უფრო ძლიერ მეტოქედ მიჩნეულ პირენეელს მძიმე ჭიტლაყი ამოარტყა.

დანარჩენი ორი მოულოდნელობის ავტორებად კი გერმანელები — ბიორნ ფო და რაინერ შუტლერი მოგველინენ. პირველმა პეკინის ოლიმპიადის ვერცხლისმედალოსანი ფერნანდო გონსალესი დაიფრინა. თუმც ჩილელს შეუძლია ყველაფერი საკუთარ თავს დააბრალოს, რადგანაც მოწოდებაზე უბრალოდ ამაზრზენად გაისარჯა. ასე განსაჯეთ, ფოს 15 ბრეიკ-პოინტი ჰქონდა და რაღა გასაკვირია აქედან იმდენი რომ გამოიყენა, რაც მოსაგებად ეყო.

შუტლერის საკბილოდ კი რიშარ გასკე იქცა, რომელიც წლეულს ისევ ვეღარ მეგობრობს სტაბილურობასთან — ეს ბიჭი ლამაზ მატჩებს საოცრად უთავსებს სრულიად ბრიყვულ წაგებებს.

პეკინში სენსაციები ამით არ ამოწურულა, რადგანაც ერთი და თანაც ყველაზე ხმაურიანი ქალთა შორის შედგა. წააგო ანა ივანოვიჩმა. მეორეს მხრივ კი სერბი ლამაზმანი ბოლო პერიოდში ისე ხშირად მარცხდება, რომ კაცს ენა არ მოუბრუნდება, ამას სენსაცია უწოდო.

რაც ყველაზე მთავარია, ივანოვიჩმა მასპინძელთა ერთადერთ შემორჩენილ იმედ ძი ძენგთან წააგო — ორივე მხრიდან შეცდომებით გაჯერებულ ამ სამ საათიან შეხვედრაში ტრიბუნების მხარდაჭერით შეგულიანებულმა ჩინელმა მაინც შეძლო სერბის მიჩოგვნა. სხვათა შორის, ძენგმა ივანოვიჩს წლეულს უკვე მეორედ მოუგო. თუ არ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ ანა უიმბლდონიდან სწორედ ამ ჩინელმა დაიფრინა.

სამაგიეროდ მოიგეს სხვა ბობოლებმა — ელენა იანკოვიჩი აგრძელებს მსოფლიოს პირველი ჩოგნის სტატუსის დაბრუნებისკენ სრბოლას. ამ გზაზე სერბს გუშინ დანიელა ჰანტუხოვა გადაელობა და შეუბრალებლადაც იქნა გადათელილი. ნახევარფინალში ელენას ვერა ზვონარიოვასთან ელის რანდევუ, რომელმაც თავის მხრივ ანაბელ მედინა-გარიგესი უბრალოდ კორტიდან წაშალა.

**კახა ლომაშვილი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორყოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე
გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge